MES 8 22 0000878033

05/08/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.07.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:08 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:26სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

10. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**თინათინ ბაჯელიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
5	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
6	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	სოსო გოგილიძე	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	I, II
2	არჩილ ჯანგირაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
3	თეონა შუშტაკაშვილი		ავტორიზაციის დეპარტამენტის უფროსი	I, II
4	ქეთევან გეგიაძე			I, II

			საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, მოწვეული ლექტორი	
5	ლუკა ბერაია		შიდა მონიტორინგის სამსახურის უფროსი	I, II
6	კახაბერ თავზარაშვილი		მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი, პროფესორი	I, II
7	ირაკლი ნოსელიძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი	I, II
8	სამად ხარსარმაღამი		პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
9	ლილი არაბული		წარმომადგენელი	I, II
10	თეა კორძაძე	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
11	ლუკა დვალიშვილი		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	III
12	ინგა აბრამიძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
13	ნინო ჩიხლაძე		„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	მანუჩარ ლორია	**სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**	რექტორის მოადგილე	IV, V
15	ნინო ყურშუბაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV, V
16	რუსუდან ყიფიანი		იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი	IV, V
17	ირაკლი თავბერიძე		ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	IV, V
18	გულადი თხილაიშვილი		ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV, V
19	ლედი ძნელაძე		„ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“	IV, V

			საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
20	ქეთევან ჭანიძე		„ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმღვანელი	IV, V
21	მერაბ სვანაძე	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი,	VI, VII
22	გიორგი ხიმშიაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი,	VI, VII
23	ანა თოფურია		ტექნოლოგიის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	VI, VII
24	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI, VII
25	დავით მახვილაძე	**სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII
26	ანზორ აბშილავა		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	VIII
27	შალვა კელეპტრიშვილი		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII
28	დავით კუპატაძე		„სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VIII
29	მარიამ დარბაიძე	**შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბიჯი“**	ვიცე-რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IX
30	თეონა მაისურაძე		„ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IX

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ლაშა ბაკურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II

4	ბაქარი დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	მაკა თეთრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV,V
8	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
9	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
10	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
11	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
12	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IX

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბიჯის“ „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბიჯის“ „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცევტული ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4		-

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოფარმაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია 0916
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტის IV შენობა, მ.კოსტავას ქუჩა №77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა და ირინა გველესიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიან.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებაში დასაქმებული პირის ნათესავი - ირინა გველესიანი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც

ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, მესამე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების სრულად მისაღწევად დაემატოს ფარმაცევტული მენეჯმენტის-მარკეტინგის ან ფარმაცევტული ბიზნესის საკითხების, სამრეწველო ფარმაციის და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი/კურსები;
2. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გაზიარებული იყოს ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარისათვის;
3. რეკომენდებულია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება;
4. რეკომენდებულია, ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს ი რეკომენდებულია სწავლის შედეგების ქვერუბრიკა ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეშვიდე დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით აწმყო დროში;
5. რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობები გასწორდეს კანონმდებლობის შესაბამისად;
6. რეკომენდებულია, პროგრამაში არსებობდეს განმარტება არჩევით კურსებთან დაკავშირებით;
7. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;
8. რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად პროგრამას დაემატოს, მაგ., კვლევის დიზაინის ან კვლევის მეთოდებს შემსწავლელი სასწავლო კურსები; სამეცნიერო წერის საფუძვლები, მონაცემთანა ანალიზი და ა.შ.;
9. ეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი, მაგ. სასწავლო პრაქტიკა ფარმაცევტულ ანალიზში;
10. რეკომენდებულია, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება დარგის სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციებთან;
11. რეკომენდებულია, პროგრამაში სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს საგნის სპეციფიკა;
12. რეკომენდებულია, პროგრამის შეფასების მეთოდები, ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
13. რეკომენდებულია, სილაბუსში მიეთითოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა (მინიმალური ქულა) და ჩაბარების მინიმალური ზღვარი;
14. რეკომენდებულია, გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება;
15. რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი;
16. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას,

ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას;

17. რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე;

18. რეკომენდებულია, ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.);

19. რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა;

20. რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის;

21. რეკომენდებულია, გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის გარე შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსის შინაარსი/სტრუქტურა/კრედიტების მოცულობა/შეფასების სისტემა, პროგრამის სწავლა-სწავლებისაა და შეფასების მეთოდები, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვ.);

22. რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატული მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

23. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით;

24. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას;
25. რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით:

- დაზუსტდეს და შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურ რაოდენობად განისაზღვროს მაქსიმუმ 8-10 მაქსიმალურად მკაფიო, ნათელი და რეალისტური სწავლის შედეგი;
- მოხდეს კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება;

26. შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად სტანდარტების ნაწილი შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და დაინტერესდა ექპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული რეკომენდაციები და რამდენად უნდა გავრცელდეს მთლიანად პროფესიულ საქმიანობაზე.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გარე შეფასებასთან დაკავშირებით თუ რა იყო რეკომენდაციების გაცემის საფუძველი. ასევე დაინტერესდა ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციით, არის თუ არა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უნივერსიტეტში ზოგადად სუსტი თუ კონკრეტულად აღნიშნულ პროგრამაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ, განაცხადა, რომ სტანდარტის გარკვეული ნაწილი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც თვლიან რომ გაცემული რეკომენდაციები სრულად უნდა შესრულდეს იმისათვის, რომ, პროგრამის მიზნების თანახმად, კურსდამთავრებულს შეეძლოს ახალი მედიკამენტების წარმოება, კომპანიის მართვა და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული მიზნები ვერ მიიღწევა, თუ შემდეგში სრულფასოვნად არ ჩაიშლება მეთოდოლოგია, შეფასება და ა.შ. მიზნებში გაწერილი იყო, რომ მაგისტრანტს ექნებოდა ქიმიის ღრმა ცოდნა, შეეძლებოდა მედიკამენტების შექმნა/წარმოება, ამასთანავე იგი შეძლებდა სხვადასხვა ფარმაცევტული დაწესებულების მართვას. სწორედ აქედან გამომდინარე, მოხდა სტანდარტების ნაწილის შეფასება მეტწილად და ნაწილობრივად. ინტერნაციონალიზაციის შესახებ მან განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნივერსიტეტს აქვს გარკვეული კავშირები, თუმცა კონკრეტულად განსახილველი პროგრამის მიმართულებით, ფარმაცევტული მიმართულებით აღნიშნული კავშირები ვერ გამოვლინდა. აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია, რომ ამ კუთხით გაძლიერდეს მუშაობა და გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულებები თანამშრომლობის კუთხით. მისი თქმით, გარე შეფასება არ ატარებდა შეფასების ხასიათს, არ უთითებდა ძლიერ და სუსტ მხარეებს და არ აღნიშნავდა თუ რა უნდა გაუმჯობესებულიყო პროგრამაში. ძირითადად, ხაზგასმული იყო მხარდამჭერი ღონისძიებები და ის, რაც იყო კარგი და მნიშვნელოვანი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, კი გარე შეფასება კრიტიკულად უნდა უდგებოდეს პროგრამას და უნივერსიტეტს აძლევდეს პროგრამის განვითარების საშუალებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განემარტა, თუ რა გახდა საფუძველი რომ რეკომენდაცია გაცემულიყო და არა რჩევა ფარმაცევტული მენეჯმენტის-მარკეტინგის ან ფარმაცევტული ბიზნესის საკითხების, სამრეწველო ფარმაციის და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი/კურსების დამატების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ, განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ისეთი სახის მიზნები და შედეგები, რომელიც საჭიროებს მმართველობითი უნარების განვითარებას. მაგალითად მოიყვანა პროგრამის მიზნებში გაწერილია შემდეგი ჩანაწერი: „პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ სხვადასხვა სამედიცინო-ფარმაცევტულ კომპანიებსა და სხვა კერძო/საჯარო ორგანიზაციებში სამკურნალო საშუალებების მწარმოებლებისა და ხარისხის მაკონტროლებლების პოზიციაზე, გარდა ამისა შექმნან და ეფექტურად მართონ საკუთარი კომპანიები“.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, დასძინა, რომ საუბარი იყო საკუთარი კომპანიის მართვაზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა საკუთარ კომპანიას მართავდა თუ სხვის მფლობელობაში არსებულს, თუ ყურადღება მახვილდებოდა მართვაზე, მაშინ ლოგიკურია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რომ სტუდენტმა უნდა იცოდეს თუ როგორ უნდა მართოს. მან სთხოვა პროგრამის ხელმძღვანელს მეტი ყურადღება გაემახვილებინა, თუ რას გულისხმობდა დაწესებულება ამ მიმართულებით, რადგან არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ დააფიქსირა, რომ არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან მათი მოსაზრებით გაცემულ რეკომენდაციას არანაირი კავშირი პროგრამის მიზნებთან არ აქვს, თუმცა პროგრამის მიზნებში გაწერილია, რომ „კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს მართვა“.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას მიზნებში უწერია შემდეგი: „კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში და. ა.შ. სამკურნალო საშუალებების მწარმოებლების პოზიციაზე“ და დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით თუ რამდენად შეესაბამება პროგრამა, განსაკუთრებით, მისი პრაქტიკული კომპონენტი აღნიშნულ მიზანს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ, განაცხადა, რომ სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა რეკომენდაციის გაცემა. გარდა იმისა, რომ სასწავლო კურსებს უნდა დაემატოს ამ მიმართულებით თეორიული კურსი, ამასთანავე პრაქტიკის კუთხითაც აუცილებელია პრაქტიკის ბაზებთან ხელშეკრულების გაფორმება იმისათვის, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდეს ის უნარები, რასაც ჰქვია წამლის წარმოება, ხარისხის კონტროლი სხვადასხვა წამალთ-ფორმების წარმოება და ა.შ., მხოლოდ ქიმიური ბაზისი ვერ შექმნის იმ საფუძველს, რომ სტუდენტმა შეძლოს სიღრმისეულად შესწავლა თუ როგორ უნდა აწარმოოს სხვადასხვა ტიპის წამალთ-ფორმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს ზოგიერთ რეკომენდაციას, მაგ., სწავლის შედეგების აწმყო დროში გაწერის შესახებ, არჩევითი კომპონენტების კრედიტების გაანგარიშების ნაწილში დაწესებულებას ტექნიკური შეცდომა ჰქონდა დაშვებული, რასაც იზიარებენ და უკვე გამოსწორებულია, პროგრამის დაშვების წინაპირობების შესახებ მან განაცხადა, რომ ეს არ არის ჩანაწერის პრობლემა, რადგან გაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №224/ნ-ის შესაბამისად და მოიცავს სტუდენტების ჩარიცხვას საერთო სამაგისტრო გამოცდით. ასევე, პროგრამაში ასახულია შიდა გამოცდის კომპონენტიც, რეკომენდაციაში კი საუბარია, რომ აღნიშნული საკითხი ზუსტად არ

მეორდება თვითშეფასების დოკუმენტში, რომლის გამოსწორებაც დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით შეუძლებელია, რადგან აკრედიტაცია ეძლევა პროგრამას და არა თვითშეფასების დოკუმენტს. „რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს“ - განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას არაერთხელ ჰქონია, არაერთ საბჭოსთან, თუმცა დაწესებულება იმავე პოზიციაზე რჩება, რაც აქამდე ჰქონდა, მათ აქვთ გადანაწილების ასეთი სისტემა, მათი მოსაზრებით იმ 6 კრედიტში დროს გადანაწილება განსხვავებულია, მაგ., არის საგნები, სადაც კვირაში 2 საკონტაქტო საათია, ასევე, არის საგნები, სადაც იმავე 6 კრედიტში არის 4 საათიანი სალექციო დრო, დაწესებულებას ნამდვილად გააჩნია 6 კრედიტიანი საგნების პოლიტიკა, თუმცა, საჭიროებიდან გამოდინარე, ახდენს დროის გადანაწილებას, მსგავსი მიდგომა არსებობს სხვა ბევრ უნივერსიტეტში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის მიზანი სტუდენტების მიერ კომპანიის მართვა/დასაქმება არ არის, კარგია თუ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა პრაქტიკა გაიაროს სხვადასხვა კომპანიაში, თუმცა მთავარია მან მიიღოს შესაბამისი განათლება ფარმაცევტული ქიმიის მიმართულებით და შეისწავლოს განსახილველი პროგრამა საკმაოდ მაღალ დონეზე. ეს არის შესაძლებლობებიდან გამომდინარე დემონსტრირების ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ პროგრამის მიზანი არ არის, რომ კურსდამთავრებული გამოვიდეს კარგი მენეჯერი.

პროგრამის მიზანი არის არა ის, რომ სტუდენტი მართავდეს/მუშაობდეს ფარმაცევტულ კომპანიაში, არამედ პროგრამის მიზანია, რომ როდესაც კურსდამთავრებული დასაქმდება ფარმაცევტულ კომპანიაში, მას შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პროექტებში, რადგან პროგრამას აქვს იმის რესურსი, რომ ასწავლოს მაღალ დონეზე. მისი განმარტებით სადოქტორო პროგრამაში, ასევე, აქვთ მართვის სასწავლო კურსი, მაგრამ მაგისტრატურის საფეხურზე ეს არ არის მათი პრიორიტეტი. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყველაფერი დაკავშირებულია მიზნებთან და, შესაბამისად, არაფერია შესაცვლელი. რეკომენდაციის მიღების შემდეგ მან გადახედა მიზნებს და დარწმუნდა, რომ მიზნებინამდვილად არ საჭიროებს ცვლილების განხორციელებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფს უფრო კონკრეტულად დაეზუსტებინა თუ რა იგულისხმებოდა მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ „ფარმაცევტული ქიმია“ არ არის სასაწავლო კურსი, რომელიც ისწავლება სხვა უნივერსიტეტებშიც. შესაბამისად, ანალოგების შესწავლის შედეგად შეიმუშავეს განსახილველი პროგრამის მიზნები, რაც გაწერილია მოცემულ პროგრამაში. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მისთვის ცნობილია, მან ხელახლა გადახედა თვითშეფასების დოკუმენტს და ვერ მიხვდა თუ რას გულისხმობდნენ ექსპერტები, შეამოწმა შედეგების მიზნებთან შესაბამისობა და როგორც დარგის ექპერტი, მისთვის ბუნდოვანია თუ რა ნაწილი იყო ბუნდოვანი/დასაზუტებელი.

საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის, განცხადებით, გასაგებია, რომ პროგრამის მიზანი არ უნდა იყოს ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება კომპანიებში, რაც სავსებით მისაღებია. თუმცა პროგრამის ლოგიკა და მიზანი განსხვავებულია, და მიზნებში წერია, რომ „Also, to establish and manage their own companies effectively“. თუკი პროგრამის მიზნებში წერია, რომ უნდა მართონ საკუთარი კომპანიები ეფექტურად, ამ პოზიციიდან გამომდინარე ლოგიკურია ექსპერტთა ჯგუფის კითხვა, ხომ არ აჯობებდა დაწესებულებას აღნიშნული ჩანაწერი დასაქმების ველში რომ გაეწერა და არა მიზანში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ მაგალითად შეეძლო მოეყვანა მისი ხელმძღვანელი, რომელიც მეცნიერია და სწავლობდა მსგავს პროგრამაზე, თუმცა მას არ ჰქონია კომპანიის მართვის გამოცდილება, ამიტომ ეს არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. მისი მოსაზრებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ასეთი პროგრამის დანერგვა და

მისთვის გაუგებარია თუ რა ხარვეზები არსებობს მიზნებთან დაკავშირებით. განიხილება საკმაოდ კარგი პროგრამა, რომელშიც ისწავლება სხვადასხვა საგნები, მათ შორის, მართვის მენეჯმენტი. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება კომპანიის მართვა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ როდესაც იწერება მიზანი, მას აქვს სამი ძირითადი კომპონენტი და ერთ-ერთ კომპონენტში აუცილებლად იწერება აუცილებელი/შესაძლო დასაქმების არეალი, ამიტომ ეს მიზნის განუყოფელი ნაწილია, სადაც შეძლებს კურსდამთავრებული კვალიფიკაციით დასაქმებას. საბოლოო ჯამში, საწყის ტექსტში ნახსენებია, თუ რა არის ფარმაცევტული ქიმიის მთავარი მიზანი, მაგრამ ის, რაც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, სრულიად მისაღებია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის. ჩანაწერი არ უნდა იყოს მბოჭავი, არამედ მას უნდა ჰქონდეს თავისი კრიტერიუმები, რადგანაც ცნობილია თუ როგორ უნდა გაიწეროს იმისათვის, რომ მაქსიმალურად აჩვენებდეს შესაძლებლობებს. პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც საკმაოდ კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტია, თავად აღნიშნავს, რომ პროგრამის მიზანი არ არის, რომ მართოს, თუმცა ასეთი გამოცდილების მქონე ადამიანი შეიძლება იყოს დარგში, რომელიც პარალელურად პატარა კომპანიების დონეზეც კი გამოავლენს ამ უნარებს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის დაშვების წინაპირობების შესახებ დაგანაცხადა, რომ, როგორც გაწერილია: „კანდიდატებს წარმატებით უნდა ჰქონდეთ მიღებული ბაკალავრის ხარისხი ფარმაციის, ქიმიის, ბიოქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებით. განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატი მინიმუმ B2 დონეზე. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს კანდიდატის მიერ წარდგენილი წერილობითი და ზეპირი მოხსენებების გათვალისწინებით და კანდიდატების კვლევის უნარებისა და სკოლის კვლევის პრიორიტეტებისა და რესურსების შესაბამისად“, მას აინტერესებს აქვს თუ არა დაწესებულებას სხვა მოთხოვნები მიღების წინაპირობებში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტა, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობებში გაწერილია საერთო სამაგისტრო გამოცდითა და 224-ე ბრძანების შესაბამისად.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელ დოკუმენტში იყო აღნიშნული საკითხი გაწერილი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დასძინა, რომ მოცემული საკითხი გაწერილია პროგრამის დაშვების წინაპირობებში. მან ცენტრის წარმომადგენლებს სთხოვა გადაემოწმებინათ, თუ რომელი პროგრამა იყო გადაგზავნილი საბჭოსთან რათა მომხდარიყო საკითხის დაზუსტება. მან განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს დარგობრივი თვალსაზრისით სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ ტექნიკურ შენიშვნებს, ფორმულირებასთან დაკავშირებითაც ხარვეზი ნამდვილად იყო, ასევე ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაფიქსირდა არჩევით კომპონენტებთან მიმართებითაც, მაგ., განაწილების საკითხთან მიმართებით, თუ რამდენი უნდა აირჩიოს მაგისტრანტმა/დოქტორანტმა, რაც ტექნიკური ნაწილი იყო და უკვე გასწორდა. საუბარია, ისეთ საკითხებზე, რომლებიც ძირითადი თვალსაზრისით, საერთო ჯამში ფართო ფორმულირებას ქმნის, მაგრამ მაინც ეხება პროგრამის განვითარების დებულებას, რომელიც არის ხარისხის შიდა დოკუმენტი, სადაც გაწერილია, როგორც მთლიანად მექანიზმები, ასევე, მათი განხორციელების ინსტრუმენტები. მან ყურადღება გაამახვილა „ფარმაცევტული ქიმიის“ რეკომენდაციებზე, რომლებიც იდენტურად მეორდებოდა სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით, რაც უბრალოდ შეუძლებელია, რადგანაც მიდგომები სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე განსხვავებულია. სადოქტორო პროგრამაზე არსებობს საკონსულტაციო საბჭო, რომელიც გარდა იმისა, რომ ამოწმებს დოქტორანტის შესაძლებლობებს, დამატებით ხარისხობრივი ფუნქციაც გააჩნია. რეკომენდაციის (რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის

უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას) შესახებ მან განაცხადა, რომ ხარისხის სამსახური არის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მუშაობს პროგრამაზე, ხოლო ძირითადი რგოლი, რომელიც ყველა პროგრამისთვის ინდივიდუალურად იქმნება არის პროგრამის განვითარების საბჭო, რომელშიც მუდმივმოქმედი წევრები არიან - პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სულ მცირე ერთი წარმომადგენელი, რაც დებულებით არის განსაზღვრული, სხვა წევრებს ირჩევს სკოლის საბჭო, რადგან უნივერსიტეტში არის 70-ზე მეტი პროგრამა, რომლებიც სრულიად განსხვავებულია სხვადასხვა სპეციფიკისა და სირთულის მიხედვით. სკოლა, რომელიც ყველაზე დაინტერესებული რგოლია პროგრამის შექმნის პროცესში, ის ირჩევს პროგრამის ხელმძღვანელს, იძიებს შესაბამის პერსონალს. მას უფლება აქვს დამატებითი წევრები შეიყვანოს პროგრამის განვითარების საბჭოში. რეკომენდაცია არის, რომ საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ სტუდენტები, დამსაქმებლები, მაგრამ ამის გარდა სკოლას აქვს დიდი არეალი. გარდა ამის, შექმნილია სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით პროგრამის განვითარების საბჭო, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ინფორმაცია და განმარტა რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის გუნდის წევრი, რომელიც ერთ-ერთ ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, მექანიზმი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, რომლებიც ქმნიან, როგორც პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, ისე მის ტექნიკურ ნაწილსაც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები არ არიან მოცემული დარგის სპეციალისტები და რაც არ უნდა დაინტერესებული იყვნენ ფარმაცევტული ქიმიით, მიუხედავად ამისა პროგრამასთან დაკავშირებით კომპეტენტურ რეკომენდაციას ვერ გასცემენ , თუმცა მათ შეუძლიათ უთხრან თუ რა ფაქტორებზე გაამახვილონ ყურადღება, რა დოკუმენტაცია უნდა შეიქმნას, როგორ და რანაირად. ამიტომ, სამაგისტრო საფეხურთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის ფორმულირება თუ იქნება, რომ ნამდვილად არსებობს პროგრამის განვითარების საბჭო, როგორც მექანიზმი, მაგრამ რეკომენდაცია ეძლევათ რომ გარკვეული კუთხით გააძლიერონ მუშაობა, მსგავსი ჩანაწერი გასაგები იქნება დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. მაგრამ როდესაც რეკომენდაცია ფორმულირებულია ისე, რომ ხარისხის სამსახური კი არ ახორციელებს ჩართულობას, არამედ პროგრამის განვითარების საბჭოა ის ორგანო, რომელიც ახდენს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვასა და პროგრამის შეფასებას. ზემოაღნიშნული მექანიზმი არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დაწესებულებამ გაიარა ჯერ მოდელირებული და, შემდეგ, უცხოელი ექსპერტების ჩართულობით ავტორიზაცია, რომელიც საკმაოდ კარგი შეფასებით დასრულდა და ამის შემდეგ გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც გაითვალისწინეს. ასევე, ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის მხრიდან არ ყოფილა ამასთან დაკავშირებით დასმული საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით აღნიშნული მექანიზმი მაქსიმალურად უზრუნველყოფს კონკრეტული ფუნქციების მქონე ადამიანების ჩართულობას პროგრამის შექმნის პროცესში. მისი მოსაზრებით, ყველა რეკომენდაცია ერთმანეთს ძალიან ჰგავს. რეკომენდაციის (რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე) შესახებ, მან განაცხადა, რომ, როდესაც ერთ-ერთ სხვა პროგრამასთან მიმართებით იყო აკრედიტაციის სხდომა, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამას რეგულარულად ატარებს და ეს იყო მათთვის ცნობილი. ამიტომაც მისთვის გაუგებარია, თუ რატომ იწერება რეკომენდაციაში ის, რასაც კანონი/სტანდარტი დაწესებულებას არ

ავალდებულებს , რადგან რეკომენდაციის საფუძველს სტანდარტი უნდა წარმომადგენდეს. მისი განმარტებით, ახალი პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობას იღებს აკადემიური პერსონალი, რომელმაც კარგად იცის შიდა საუნივერსიტეტო სივრცე, ასევე, არიან ლექტორები, რომლებიც სრულიად ახლები არიან და მსგავს შემთხვევაში მათ უტარდებათ ტრენინგები, რომელსაც უძღვება ხარისხის სამსახური, HR სამსახური, რომელიც აცნობს მათ თუ რა ფაქტორებზე უნდა გაამახვილოს ლექტორმა ყურადღება, სასწავლო ოფისზეს, გამოცდების ფორმატზე, ტესტ ბანკებზე. ასევე, ტრენინგს უტარებს IT სამსახურიც, რადგან დაწესებულებას აქვს ელექტრონული ბაზები LMS-ი, my.ug და online.ug, my.ug, რომელიც სტუდენტური პლატფორმებია, online.ug კი არის ლექტორებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი პლატფორმა, რომელზეც წვდომა ეძლევათ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რის შემდეგაც უხსნიან თუ ვის რა ფუნქციონალი აქვს და როგორ ხდება მისი გამოყენება. აღნიშნული ტრენინგები დოკუმენტირებულია, რაც ადასტურებს მის ნამდვილობას, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით თვითშეფასებაში ნახსენები არ არის, რაც ძალიან საწყენია. პერმანენტულად ტარდება ტრენინგები მეთოდებთან დაკავშირებით, რაც თვითშეფასებაშიც გაწერილია, მათ შორის თუ როგორ ხდება Erasmus+-ის შესაბამისად მეთოდებში გადამზადება, რომლის განხორციელებაშიც სწორედ ხარისხის სამსახურია ჩართული, ისინი უხსნიან თუ როგორ განახორციელონ მეთოდების შესრულება სილაბუსებში. აკრედიტაციის სტანდარტის ერთ-ერთი გამოწვევაა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, დაწესებულებას ამისთვის ჰქონდა Erasmus+-ის პროექტი და უცხოელი ექსპერტების მხრიდან მიიღეს ბევრი რეკომენდაცია. დაწესებულებაში არის ერთეული, რომელიც ხარისხის სამსახურთან ერთად პერმანენტულად ატარებს ტრენინგებს 65 პროგრამის აკადემიურ პერსონალისთვის თუ როგორ ხორციელდება მეთოდების შესრულება სილაბუსებში, რომელიც ასევე მოქმედებს საათობრივ დატვირთვაზე, შედეგებზე და ა.შ. აღნიშნული საკითხი ცნობილი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის და, ასევე, გაწერილი იყო თვითშეფასებაში, თუმცა მისთვის უცნობია, თუ რატომ არ იყო გაწერილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. რეკომენდაციის (რეკომენდებულია ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო) შესახებ, მან განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა, ეს არ არის იმავე ფუნქციების მატარებელი, რასაც ატარებს პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც შეიმუშავებს დოკუმენტს, პროგრამას და მასში შემავალ ყველა პროდუქტს, რომელიც მზად არის შემდგომი ეტაპისათვის ანუ დამტკიცებისთვის. აქამდე დაწესებულებაში არსებობდა აკადემიური საბჭო, მაგრამ მას 2018 წლის ცვლილებების შესაბამისად მიეცა სხვა დატვირთვა და შეიქმნა ახალი ორგანიზაციული რგოლი - პროგრამის აკრედიტაციის საბჭო, რომელშიც მუდმივმოქმედი წევრები განსაზღვრულია დებულებით, არსებობს ოქმი თუ ვინ არიან მუდმივმოქმედი წევრები და სწორედ აღნიშნულ საბჭოზე დასამტკიცებლად გადის პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ დამუშავებული პროგრამა თავისი სილაბუსებით და თანდართული დოკუმენტებით, რომელსაც შემდეგ უკვე ცენტრალური ხარისხი უკეთებს რევიზიას. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის წარმომადგენელი პროგრამის განვითარების საბჭოშიც შედის, დოკუმენტაცია მაინც ეგზავნება ცენტრალურ ხარისხს და, საბოლოოდ, ამტკიცებს პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. აქედან გამომდინარე, მისთვის გაუგებარია რა იგულისხმა ექსპერტთა ჯგუფმა ფრაზაში - „ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო“, რადგან პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მხოლოდ ერთი ფუნქცია გააჩნია, ყველა ამ პროცედურის გავლის შემდეგ მოისმინოს და დარწმუნდეს პროგრამა უნდა დამტკიცდეს თუ არა. პროგრამის დებულების მიხედვით, პროგრამის აკრედიტაციის საბჭოში თუ მოხდა შემთხვევა, რომ საჭირო გახდა შინაარსობრივად საკითხის დაზუსტება, როგორც აკრედიტაციის საბჭოს შეუძლია შუამდგომლობით მოითხოვოს, საკითხის გადადება ან დამოუკიდებელი ექსპერტის მოწვევა, დაწესებულებასაც აქვს მსგავსი მიდგომა პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს საქმიანობის განხორციელებისას. პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს ფუნქციურად მხოლოდ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება

დაამტკიცოს დოკუმენტი და არა. ყველა სხვა დანარჩენი საკითხი დაკავშირებულია პროგრამის განვითარების საბჭოზე და ამ ორი საბჭოს „და“ კავშირით ერთმანეთთან დაკავშირება წარმოუდგენელია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციიდან გამომდინარე. მან აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი ზუსტად იდენტურად არის გადატანილი დოქტორანტურის დასკვნაშიც, რაც სრულიად შეუძლებელია, რადგან სრულიად სხვა სივრცეა, სხვა მექანიზმებით ხდება შეფასება. რეკომენდაციის მეორე ნაწილის შესახებ (მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.)), მან განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ რას ნიშნავს „აკადემიური კომიტეტი“ და სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ, რადგან მათ განმარტეს თუ რა არის პროგრამის განვითარების საბჭო და ის პირები, ვინც დაკონკრეტებულია რეკომენდაციაში, პროგრამის განვითარების საბჭოში ისედაც არიან წარმოდგენილნი. მისი განმარტებით, რეკომენდაციას გაიზიარებდა, რადგან გარე შეფასება განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, თუმცა შექმნან ორგანო, რომელიც დაწესებულებაში უკვე ფუნქციონირებს, მაგრამ სხვა სახელწოდებით, მათთვის გაუგებარია და ბუნდოვანია თუ რა იყო მსგავსი რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. რეკომენდაციის (რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა) შესახებ, მან აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით რეკომენდაციები სტანდარტებიდან გამომდინარე უნდა იწერებოდეს, თვითშეფასების დოკუმენტი კი არ ფასდება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, ფასდება პროგრამა. თუ დაწესებულება ხარვეზით ავსებს თვითშეფასების დოკუმენტს, ეს არ შეიძლება იყოს გაწერილი რეკომენდაციაში, რადგან რეკომენდაცია გაცემული უნდა იყოს პროგრამასთან მიმართებით. თუ ხარვეზით არის შევსებული თვითშეფასება, მაგრამ კარგად არის გამოტანილი პროგრამაში, ამ შემთხვევაში რეკომენდაციის გაცემა უცნაურია. ამის მიუხედავად, პროგრამის განვითარების საბჭო მუშაობს პროგრამასა და მის სილაბუსებზე, პროგრამის განვითარების საბჭოს ყველა მონაწილე არა თუ ვერ მიიღებს მონაწილეობას, არამედ არ მიიღებს მონაწილეობას, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ჯგუფი რომელიც ავსებს თვითშეფასებას ინაწილებს ფუნქციებს სტანდარტების მიხედვით, პირველ და მეორე სტანდარტს ამუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი, მეხუთე სტანდარტს – ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, გარკვეულ ნაწილში HR სამსახურია ჩართული, რომელიც პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტებისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად წერს თვითშეფასების დოკუმენტს. ამიტომ თვითშეფასების დოკუმენტის ისე აღქმა, რომ ყველა ყველაფერს წერს არ არის სწორი, ამისთვის არსებობს შესაბამისი ჯგუფი. მეხუთე სტანდარტი, ძირითადად, შიდა რეგულაციებზე/მექანიზმებზე დაყრდნობით იწერება, ასევე, იმ კითხვარების შესაბამისად, თუ რა ინფორმაცია მიიღეს სტუდენტებისგან, დამსაქმებლებისგან. ესაბამისად, ამას მარტო ხარისხი არ ამუშავებს, პროგრამის განვითარების საბჭოში შემავალი ადამიანები ამუშავებენ და მიღებული ინფორმაცია ხარისხობრივად მუშავდება ტექსტშიც. დაწესებულება აღიარებს, რომ თვითშეფასების დოკუმენტში იყო გარკვეული სახის ხარვეზები, მაგრამ ეს რატომ იყო რეკომენდაციის საფუძველი მათთვის გაუგებარია. მათი მოსაზრებით ძალიან კარგი იქნება, რომ საბჭომ ამასთან დაკავშირებით სამართლებრივი პრაქტიკა დაადგინოს, თუმცა პროგრამა არის ის ძირითადი, რომელიც ფასდება და რეკომენდაცია

იწერება სტანდარტიდან გამომდინარე, დაირღვა თუ არა. რეკომენდაციის (რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის) შესახებ, მისი განცხადებით, საუბარი არ არის, რომ დამსაქმებელი არ ჰყავთ, საუბარია იმაზე, რომ მეტი დამსაქმებელი ჰყავდეთ, დაინტერესდა თუ რა კრიტერიუმია - „მეტი“.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, დასძინა, რომ შესაძლებელი იყო ექსპერტთა ჯგუფს მიეთითებინა ცდომილება. მისი განმარტებით, როდესაც საკითხი ეხება სტატისტიკას და სოციოლოგიას იგულისხმება სიზუსტე, რეპრეზენტატულობა და სანდოობა. ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა მიეთითებინათ, თუ რა რაოდენობის დამსაქმებლის გამოკითხვას მოითხოვს კვლევა, დაეზუსტებინათ მოცემული საკითხი, რადგან თუ ჰყავთ 5 დამსაქმებელი და განახორციელეს მათი გამოკითხვა, მათი სანდოობა და რეპრეზენტატულობა იქნება დაახლოებით 50%-მდე და შეიძლება ითქვას, რომ არასანდო კვლევაა ჩატარებული, რაც მათთვის გაუგებარია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების თვითმიზანი არ არის რეკომენდაციების წინააღმდეგ წასვლა, დაწესებულებას აღუნიშნავს ბევრი შეცდომაც და გაუზიარებია ბევრი რეკომენდაციაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მათთვის გაუგებარია ზოგიერთი რეკომენდაცია, რაც დაზუსტებას ითხოვს. განათლების ხარისხის განვითარების კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, გარე შეფასების მიზანია მისი შესრულება და თუკი ის არ იქნება კონკრეტული და ზუსტ პარამეტრებს არ დაეყრდნობა, მაშინ იგი გაუგებარი ხდება დაწესებულებისთვის.

უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, განაცხადა, რომ უნივერსიტეტი თავად წარმოადგენს დამსაქმებელ ორგანიზაციას და, შესაბამისად, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაც გამიზნულია იმაზე, რომ მომზადებული კადრების ნაწილი მაინც დასაქმდეს უნივერსიტეტში, განახორციელოს კვლევები. პროგრამის მიზანია გამოზარდოს მკვლევრები, რომლებიც ღირებულ კვლევებს განახორციელებენ. ერთ-ერთი მიზანში კი უნივერსიტეტის გარეთ დასაქმებაც მოიაზრება, კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებში, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ კვლევები განაგრძონ უნივერსიტეტში, შექმნან ღირებული სამეცნიერო პროდუქტი. აქედან გამომდინარე დაწესებულებას თავისი სტანდარტი აქვს დასაქმებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, 5.2. კომპონენტის - გარე შეფასების შესახებ განაცხადა, რომ გარდა სტანდარტით არსებული ფორმულირებისა, თუ ვინმე იტყვის რომელ დამატებით ვალდებულებებს სთავაზობს სტანდარტი დაწესებულებას, დაწესებულება მზად არის გაიზიაროს რეკომენდაცია, მაგრამ ეს არ არის სტანდარტის მოთხოვნა - „რეკომენდებულია გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია...“ - დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით დიდი აცდენა არის, რადგან 5.2 კომპონენტი არის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელსაც დამატებით იყენებენ გარე მექანიზმთან მიმართებით, მაგრამ, როდესაც საუბარია პროგრამის განვითარების საბჭოზე, რომელშიც წარმოდგენილია დამსაქმებელიც, გარდა ამისა დაწესებულებას აქვს კითხვარები, რომელიც დამატებით იგზავნება მოძიებულ სხვა დამსაქმებელთან, ასოციაციებთან, მათგან ინფორმაციას იღებენ კითხვარების სახით, რომელიც მუშავდება პროგრამის განვითარების საბჭოში კომპეტენტური პირების მიერ და კეთდება ანალიზი, ანუ მუშავდება და, მეორე მხრივ, ეს არის 5.2 კომპონენტი, რომელიც დაწესებულებას აძლევს დამატებით შესაძლებლობას. თუმცა ის ფორმულირება, რომ დამატებით უნდა ეწეროს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და ა.შ., შესაძლებელია ფორმაში რაღაც ნაწილის გათვალისწინება, თუმცა დაწესებულების მთავარი პრიორიტეტი არის გარე შემფასებელი, რომელიც პროგრამის განვითარების საბჭოშიც არის. გარდა ამისა მნიშვნელოვანია საქართველოს მიღმა ერთ-ერთმა

შემფასებელმა, რომ მისცა უკუკავშირი პროგრამაზე. რეკომენდაციის (რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით) შესახებ, მისი თქმით, პროგრამის ხელმძღვანელი არის უცხოელი, რომელსაც სტატიები ძირითადად გამოქვეყნებული აქვს Scopus-ის ბაზაში. ლების განმავლობაში იგი ჰოლანდიაში მუშაობდა და ყველა ეს დადარების გამოცდილება მას აქვს უცხოური პრაქტიკიდან გამომდინარე. შესაძლებელია საუბარი მოცემულ საკითხზე, მაგრამ მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უნდა გამომდინარეობდეს აკრედიტაციის სტანდარტებიდან და აღნიშნა, რომ სტანდარტის მიხედვით მას არ აქვს ვალდებულება განახორციელოს პროგრამის დადარება დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან. აქედან გამომდინარე, მისთვის ბუნდოვანია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემის საფუძველი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც თავად პროგრამის ხელმძღვანელია უცხოელი და სწორედ იგი ამ პროცესის გარანტია. ასევე, მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება, ლილი არაბული, რომელსაც ყველა სტატია ინტერნაციონალურია, სწორედ ამ პერსონალის გამოცდილებიდან იღებს დაწესებულება კომპეტენციის ხარისხის შესახებ ინფორმაციას. შემდეგ რეკომენდაციას (რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას) მისი თქმით, ზუსტად იგივე ფორმულირება აქვს, რაზეც დასაწყისში ისაუბრეს, განსხვავებაა მხოლოდ, ის რომ წინა რეკომენდაციაში დაკონკრეტებული იყო რამდენიმე პირი და აქ არ არის კონკრეტულად გაწერილი. შემდეგი რეკომენდაციის პირველი ნაწილის (რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით: დაზუსტდეს და შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურ რაოდენობად განისაზღვროს მაქსიმუმ 8-10 მაქსიმალურად მკაფიო, ნათელი და რეალისტური სწავლის შედეგი) შესახებ, მან განაცხადა, რომ სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება არ წარმოადგენს პრობლემას, თუმცა პროგრამას რამდენი შედეგი უნდა ჰქონდეს ხარისხის სამსახურის ერთი ადამიანი არ წყვეტს, ამისთვის არსებობს ჯგუფი, რომელიც ამბობს ერთად უნდა იყოს რამდენიმე კომპეტენცია დაჯგუფებული თუ ცალ-ცალკე ბულეტებად უნდა იყოს გამოტანილი, მაგრამ თუ მოდის ექსპერტი და ამბობს, რომ ამის დაჯგუფება და შემცირება შესაძლებელია ამის გათვალისწინება ძალიან ტექნიკური საკითხია, მითუმეტეს, როდესაც საუბარია ტექნიკურ შემცირებაზე და არა კომპეტენციების პრობლემაზე.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, დასძინა, რომ თუ ექსპერტთა ჯგუფი, იტყოდა კონკრეტულ შედეგზე, რომ შეუძლებელია მისი შემოწმება, დაწესებულება დაეთანხმებოდა, რადგან შესაძლებელია მათაც დაუშვან შეცდომა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, ბოლო რეკომენდაციის (შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით) შესახებ, განაცხადა, რომ ამას დაწესებულება ვერ მიიღებს, რადგან არსებობს პროგრამის განვითარების დებულება, ასე გაიარა დაწესებულებამ ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, აკადემიური პერსონალის მხარდამჭერ ღონისძიებებთან, კერძოდ, გაცემულ პრემიებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს საკითხი პირდაპირ ეხება

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, დაწესებულებას აქვს გაცემული პრემიების დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს მაგისტრატურა-დოქტორანტურის საფეხურებს და მასში არის შემდეგი პუნქტები: „ახალი მოთხოვნილი პრემიები“, „მოითხოვა, მაგრამ არ ეკუთვნოდა“, „სავარაუდოდ გაცემული პრემიები“ და „გაცემული პრემიები“, იგი გაეცნო მოცემულ დოკუმენტს და არ არის თანაკვეთა „სავარაუდოდ გაცემულ პრემიებსა“ და „გაცემულ პრემიებს“ შორის. რეალურად გაცემული პრემიების რაოდენობა დოკუმენტის მიხედვით 9-ს არ აღემატება, იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ავტორს გარკვეული თანხა უკვე ჩაერიცხა. შესაბამისად, დაინტერესდა თუ რა იგულისხმება „სავარაუდოდ გაცემულ პრემიებში“. ვინაიდან ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ პროგრამის ბიუჯეტსა და დასაქმებულ პერსონალს ეხება, დაინტერესდა თუ რა რაოდენობის პერსონალს აქვს მიღებული პრემია. ასევე, დაინტერესდა პროგრამის ბიუჯეტში თუ არის გათვლილი პერსონალზე გასაცემი პრემიების რაოდენობა და რომელი მუხლით ხდება ამისი გათვალისწინება, რადგან ბიუჯეტის დოკუმენტში მსგავს ჩანაწერს ვერ მიაგნო.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ პრემირების პოლიტიკა არ არის პროგრამების ბიუჯეტში გაწერილი. ეს არის საერთო საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემადგენელი დოკუმენტი/მექანიზმი, რომელიც რეგულირდება და თუ თანხა გაიცემა, მისი გაცემა ხდება არა სკოლის ბიუჯეტიდან, არამედ ცენტრალური ბიუჯეტიდან ანუ პროგრამის კვლევითი ინსტიტუტიდან, რომელიც ცენტრალური რგოლია. შესაბამისად, ეს არის ის, რაც პროგრამას შეიძლება თვითონ ჰქონდეს დამატებით თავისი ბიუჯეტის ფარგლებში მეცნიერებასთან, მივლინებასთან მიმართებაში, ასევე ცალკე არსებობს საუნივერსიტეტო მიდგომები და ერთ-ერთი არის პრემირების ნაწილი. უნივერსიტეტმა მიიღო ახალი სტრატეგია, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს თავისი სამეცნიერო ნაშრომების, კვლევების საერთაშორისო დონეზე გატანას. დაწესებულებამ გაწერა პრემიების მექანიზმი, რაც გულისხმობს თუ როგორ შეიძლება თანხობრივად გამოანგარიშებული იყოს, რაც დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მაგ., ინდექსაცია არის განსაზღვრული Scopus-ის ბაზაში მოცემული ჟურნალების (თავისი კოეფიციენტებით) და თუ მოხდება უფრო მაღალ ციტირებად ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნება, ეს მოქმედებს პრემიაზე, რომელიც 500-დან 2000 ლარამდე მერყეობს, ამასთანავე ცენტრალურ ბიუჯეტში გაწერილია, რომ გარდა პრემიისა უნივერსიტეტი მთლიანად უფინანსებს ჟურნალებში გამოქვეყნებას და ეს არ ხდება სკოლის/პროგრამის დონეზე, ეს ხდება ცენტრალურ დონეზე, აქედან გამომდინარე ბიუჯეტში ამიტომ არ არის მოცემული აღნიშნული ჩანაწერი. გათვლა პირველ რიგში არის აკადემიურ პერსონალზე, მითუმეტეს აფილირებულ პერსონალზე, რომლებიც უშუალოდ კვლევებზე ორიენტირებულია. დაწესებულებაში არის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ყოველწლიურად აცხადებს პროექტებს, იმავე პრინციპით, რომლითაც რუსთაველის ფონდი, რომელშიც მონაწილეობას იღებს აკადემიური პერსონალი. წამახალისებელი ღონისძიებები მოქმედებს აფილირებულ პერსონალზე, თუმცა მაგისტრანტსაც შეუძლია მონაწილეობის მიღება და, თავის მხრივ, იგი დამოუკიდებლად არ არის ჩაბმულია კვლევაში, მაგისტრანტი კვლევას ახორციელებს პერსონალთან ერთად. აკადემიური პოზიცია შეუძლია დაიკავოს დოქტორანტმაც. კვლევითი პროექტი უფრო მეტ დაფინანსებას მიიღებს თუ ჩართულნი იქნებიან დოქტორანტები ან თუნდაც მაგისტრანტები, რაც გაწერილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებაშიც. მეორე მხრივ, არც ერთი მეცნიერი დამოუკიდებლად არ მუშაობს, ძირითადად მათ კვლევებში დოქტორანტებიც არიან ჩართულნი.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც აქვს ერთადერთი ძირითადი ფუნქცია, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. სკოლების/დეპარტამენტების დონეზე ეს არის მთლიანად ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც კვლევები არ მიმდინარეობს., თითოეულ დეპარტამენტში არსებობს სულ მცირე ერთი სამწლიანი პროექტი მაინც, სადაც ჩართულნი არიან პროფესორები. წამახალისებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კონფერენციებზე წასვლის დაფინანსება ხდება შემდეგნაირად, თუ პროფესორი ატარებს

სემინარს, რომელზეც იგი წარმოუდგენს დაწესებულებას და წარადგენს თუ რა მოხსენებით უნდა წავიდეს კონფერენციაზე. ასევე აქვს დამადასტურებელი ცნობა იმის შესახებ, რომ შეყვანილია დღის წესრიგში, დაწესებულება სრულად უფინანსებს მგზავრობას, საორგანიზაციო საკითხებს, იქ მონაწილეობას და ა.შ. ყოფილა შემთხვევა, რომ დოქტორანტი არის პროექტის თანაავტორია, ამ შემთხვევაში დოქტორანტი და ხელმძღვანელი თავად თანხმდებიან თუ რომელი წავა კონფერენციაზე. გარდა ამისა, იყო შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდების წასახალისებლად წასულა დოქტორანტი. იმ შემთხვევაში თუ ნაშრომი ქვეყნდება რეიტინგულ ჟურნალში, რომლის თანაავტორიც ხელმძღვანელთან ერთად არის დოქტორანტიც, ესეთ დროს თანხის გაყოფა არ ხდება, ისინი სრულად იღებენ პრემიებს.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, დაწესებულებას შეახსენა კითხვა, რომელიც ეხებოდა „სავარაუდოდ გაცემულ პრემიებს“.
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, ბიუჯეტთან დაკავშირებული რეკომენდაციის (რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი) შესახებ განაცხადა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის პროგრამის საორიენტაციო ბიუჯეტი, რომელიც არ წარმოადგენს რეალურ ბიუჯეტს, რადგან მიდგომა არის შემდეგნაირი, ბიუჯეტი გააჩნია უნივერსიტეტს, ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენს სკოლის ბიუჯეტი, რომელიც, თავის მხრივ, იშლება დეპარტამენტების მიხედვით, თითოეული პროგრამა რომელიმე დეპარტამენტზეა მიბმული. პროგრამას ცალკე, თავისი ბიუჯეტი საერთო სისტემაში არ გააჩნია, რადგან აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაში, შემოსავალს ღებულობს სხვადასხვა პროგრამიდან. ასევე სკოლის ფარგლებში არის სამეცნიერო გრანტები, სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც განსაზღვრავს სკოლის შემოსავალს, სკოლას ასევე გააჩნია სერვისული საგნები და ქიმიის მიმართულება ერთ-ერთი ძლიერი მიმართულებაა, რომელიც აწარმოებს სერვისული საგნების მიწოდებას მედიცინის სკოლაში, ამიტომ ეს შემოსავლები არ ხმარდება რომელიმე კონკრეტულ პროგრამას, არამედ ხმარდება სკოლის მთლიან საჭიროებებს და პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია არა პროგრამის ბიუჯეტით, არამედ სკოლისა და შესაბამისი დეპარტამენტის ბიუჯეტით და შემდეგ კი უკვე უნივერსიტეტის ბიუჯეტით. როგორც ცნობილია აღნიშნული პროგრამა არის კვლევითი ნაწილი და პრაქტიკული თვალსაზრისით მას სჭირდებოდა შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფა, რის გამოც შეიქმნა ქიმიის ლაბორატორია, საკმაოდ თანამედროვე მოწყობილობებით და მთელი ეს ხარჯი გაიღო უნივერსიტეტმა საერთო ბიუჯეტიდან, რადგან ამ აპარატურის შეძენა სკოლის/პროგრამის ბიუჯეტით შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ შემუშავებულია სტრატეგია, რომ სკოლა ასაბუთებს პროგრამის ღირებულებას/მნიშვნელობას და ამის შემდეგ უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან ხდება მსგავსი სახის დაფინანსების გაცემა. ასეთი ხარჯვითი ნაწილები ვერ იქნება გაწერილი პროგრამის ბიუჯეტში, სადაც გაწერილია ძირითადად მოწვეული პერსონალისთვის გაწერილი ხარჯები, პროფესიული განვითარებისთვის შესაძლო ხარჯები, სტუდენტების პროექტების ან ლაბორატორიების უზრუნველყოფილს ხარჯვითი ნაწილები და ვერ იქნება გათვალისწინებული აპარატურის შესაძენად საჭირო ხარჯვითი ნაწილი. თუ მომავალში დაგეგმავენ ლაბორატორიების განვითარებას ეს უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური ბიუჯეტით, რადგანაც სკოლის მთლიანი შემოსავლის 60% ირიცხება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში, საიდანაც შემდეგ ხდება საჭიროების შემთხვევაში თანხების გადანაწილება. დაწესებულებას აქვს შემუშავებული ასეთი სტრუქტურა, რადგან არსებობს ისეთი პროგრამა, რომელიც როტაციულია, სჭირდება მხარდაჭერა, ვერ იმუშავებს თვითდაფინსებაზე, მაგ., როგორიც არის მათემატიკის პროგრამა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო. აქედან გამომდინარე შემუშავებულია ასეთი პრინციპი, რომ პროგრამას გააჩნია საორიენტაციო ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფილია სკოლისა და უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ მათემატიკის პროგრამებს ამუშავებენ დაახლოებით 10 წელია, რეაკრედიტაციაც ახლახანს გაიარეს, ბაკალავრიატში არის 3-4 სტუდენტიანი ჯგუფები. შესაბამისად, თუ მოგების კუთხით განიხილავენ, პროგრამები წამგებიანია, მაგრამ აქვთ თავისი პრიორიტეტი. დაწესებულებას, ასევე, აქვს მათემატიკის კვლევითი ინსტიტუტი, ამიტომ მათი მოსაზრებით მათემატიკა საჭიროა ქვეყნისა და უნივერსიტეტისათვის. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობის მიუხედავად, წარმოადგენს მათ სტრატეგიულ ხედვას და ამისათვის არის შექმნილი სისტემა, რომ პროგრამას არ დაემუქროს საფრთხე ფინანსური კუთხით.

ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ „სავარაუდოდ გაცემული პრემია“ სამუშაო დოკუმენტში მითითებულია, როდესაც ფინანსურმა დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს გადარიცხვა, მაგრამ ჯერ არ არის გადარიცხული, ისე პერსონალს ეკუთვნის და ფორმალური ნაწილია.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის, ლალი ოდიშვილის, განცხადებით საბჭოსთან და ექსპერტებთან გაზიარებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტაცია

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ პირველი კითხვა ეხება პროგრამის სტრუქტურას, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციაშიც იყო საუბარი, კერძოდ, სავალდებულო კომპონენტში ცალკე არ ისწავლება არც კვლევის მეთოდები და არც სამეცნიერო წერის საკითხები და დაინტერესდა თუ რომელი სავალდებულო სასწავლო კურსებით იფარება აღნიშნული საკითხები, იმისათვის, რომ მაგისტრანტმა ხარისხობრივად მაღალ დონეზე შეასრულოს სამეცნიერო კვლევითი პროექტი.

უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომი არის სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც 30 კრედიტს მოიცავს, რაც გულისხმობს ნაშრომის მომზადებას აკადემიურ სტილში და, ასევე, კვლევის იმ უნარების განვითარებას, რომელსაც სტუდენტი ეუფლება ამ პროცესის განმავლობაში. ეს არის პრაქტიკული კურსი, სადაც სტუდენტს უწევს გარკვეული ცდების ჩატარება, გარკვეული მეთოდების შესწავლა, კვლევითი უნარების განვითარება, რასაც კურიკულუმის მიხედვითმთლიანად ერთი სემესტრი ეთმობა. თუმცა შემუშავებული აქვთ სისტემა, რომ კვლევას პირველივე სემესტრიდან იწყებენ, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს თავიდანვე სთავაზობენ საკვლევი თემის არჩევას, რომელი მიმართულებით, რომელ პროფესორთან, რომელ თეზისზე მუშაობა სურს და სტუდენტი თავიდანვე იწყებს ამ მიმართულებით მუშაობას, სამაგისტრო პროგრამის დანიშნულებაც სწორედ ეს არის, რომ შეასრულოს კვლევითი ნაშრომი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დააზუსტა, რომ საკონსულტაციო მომსახურეობას უწევენ თუმცა ეს კრედიტებში არ აისახება.

უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, განაცხადა, რომ ხელმძღვანელის პრეროგატივაა შეამოწმოს ნაშრომი როგორც აკადემიური წერის, ასევე მეთოდების კუთხით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ სტრუქტურაში აქვთ არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი (სამი, ათ კრედიტიანი, სასწავლო კურსი), აქედან ორი სასწავლო კურსი აუცილებლად უნდა აირჩიოს სტუდენტმა, როგორც სტრუქტურიდან ირკვევა, მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი რჩება აურჩეველი, იგი დაინტერესდა თუ რამდენად არის საკმარისი და რამდენად არის დაცული არჩევითობის პრინციპი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ, როდესაც სტუდენტს აძლევენ საგნის არჩევის შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში სავალდებულო არის სამი სასწავლო კურსი, რაც სრულიად საკმარისია მოცემული პროგრამის გასავლელად.

უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, განაცხადა, რომ სამი შესაძლებლიდან ორი უნდა აირჩიოს. აღნიშნული უკავშირდება იმას, რომ სტუდენტს თავიდანვე ეძლევა მიმართულება, ხოლო თუ

პროფესორების კვლევითი თემატიკების რაოდენობა გაიზრდება, თითოეული კვლევითი თემატიკა მოითხოვს დამატებით არჩევითი საგნების შემოტანას.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, სამაგისტრო სწავლების დებულების შესახებ განაცხადა, რომ მე-7 თავში წერია, რომ ნაშრომი შესაძლებელია დაცული იქნას ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა „ჯგუფური“ შესრულება და რამდენად ვალიდურია ეს საკითხი, როგორ ხდება ჯგუფური შედეგების შეფასება, როგორ ნაწილდება ქულები და ჰქონიათ თუ არა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ ბევრი ასეთი შემთხვევა ჰქონიათ და მსგავსი მიდგომა აპრობირებულია ბევრ პროგრამაზე. მისი თქმით, სამაგისტრო დებულება არის საერთო, საუნივერსიტეტო დებულება, რომელიც გაწერილია იმ ტიპის მექანიზმებზე, რაც ყველა პროგრამისთვის საერთო მახასიათებელია, მაგრამ, როდესაც პროგრამებს სჭირდებათ ინდივიდუალური კრიტერიუმები, ასეთ დროს დეპარტამენტების დონეზე დანართის სახეს იღებს კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებით. მაგ., შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებით, ასეთი დანართები ძალიან ბევრია. სამაგისტრო დებულების მე-7 თავზე საუბრისას, რადგან საერთო, საუნივერსიტეტო დებულებაა უნივერსიტეტში სხვადასხვა პროგრამებია და შესაძლებელია პროგრამის თემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე გარკვეული სამუშაო შესრულდეს ინდივიდუალურად, მაგ., სამართალში ძალიან ბევრი ინდივიდუალური სამუშაოა, მაგრამ აქაც შესაძლებელია სამუშაოების ჯგუფურად განხორციელება და ბიზნესის მიმართულებით, რომელიც პროექტებში ჩართულობას უწყობს ხელს, ასევე ინჟინერიაში, არაერთი ჯგუფური პროექტი გაკეთებულა. თემის ხელმძღვანელმა შეიძლება შეარჩიოს და თქვას, რომ კონკრეტული პრობლემა შესაძლებელია განხორციელდეს/დამუშავდეს ერთი მაგისტრანტის დონეზე ან შესაძლებელია პროექტის სახე მიეცეს და ჯგუფურად განხორციელდეს, აღნიშნული პროექტები იდება, როგორც ინდივიდუალური ნაშრომი და მას აქვს თავისი შეფასების ნაწილი. კრიტერიუმების შესახებ, მან განაცხადა, რომ ინდივიდუალურია, ინდივიდუალურად ფასდებიან, პროექტის შემთხვევაში ინაწილებენ შესასრულებელ სამუშაოებს და ამის შესაბამისად ხდება მათი შეფასება. მე-7 თავით განსაზღვრული რეგულაცია საერთო, საუნივერსიტეტო რეგულაციაა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დანართების სახით პროგრამების ინდივიდუალური სპეციფიკის დონეზე კონკრეტდება.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განაცხადა, რომ ცალკე პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსი არ არის წარმოდგენილი, რაც გასაგებია, მაგრამ ვერ ნახა პრაქტიკული კომპონენტი ინკორპორირებული სხვა სილაბუსებში. გარდა იმისა, რომ არ იყო გაწერილი ბაზაზე ან სამუშაო მეთოდებში, საუბარია არა პრაქტიკულ მეთოდებზე სასწავლო ლაბორატორიაში ან სასწავლო ოთახში, არამედ, წმინდა პრაქტიკულ კომპონენტზე. გარდა ამისა, ვერც ერთ სილაბუსში ვერ ნახა შეფასების მეთოდი, რომელიც რელევანტური იქნებოდა პრაქტიკული უნარების შესაფასებლად, მაგ., ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა, რომელიც საკმაოდ მიღებული მეთოდია ამ მიმართულებით. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორ ხდება მიზანში გაწერილი კომპონენტის მიღწევა, რომ კურსდამთავრებულები იმუშავებენ წამლის მწარმოებლებად, წამლის ხარისხის შემფასებლებად, რაც საკმაოდ საპასუხისმგებლო საკითხია, რომ ანდონ წამლის ხარისხის შეფასება, რომელიც შემდეგ ადამიანებმა უნდა მიიღონ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, მეთოდების შესახებ განაცხადა, რომ, მაგ., სასწავლო კურსის „ფარმაცევტული ქიმია 1-ის“ სილაბუსში გამოტანილია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სავარჯიშო, რომელიც არ არის PBL. გაწერილი აქვთ მეთოდების განმარტებები სახელმძღვანელოში, PBL-ის გარდა კიდევ რა იგულისხმება ამაში, ასევე, როდესაც ლექტორს აქვს წერითი გამოკითხვა მაგალითად მე-3 კვირაში, სადაც გაწერილია აქტივობა. ამის, შესაბამისად, შემდეგში მოაქვს კონკრეტული ქეისი/პრობლემა და ხდება ამის გარჩევა/განხილვა. მისი მოსაზრებით თეორიულ სწავლებაში პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირების საშუალებაა, პრაქტიკული კომპონენტების გზით,

ამასთან ერთად არის ჯგუფური მუშაობა, რასაც ლექტორი თემატიკებთან და სემესტრულ ნაშრომთან მიმართებით იყენებს. შესაბამისად, ხდება თეორიული სწავლების ინტეგრირება.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განმარტა, რომ, როდესაც საუბარია პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე და სამაგისტრო პროგრამა არის იმ ტიპის სამაგისტრო პროგრამა, რომლის საფუძველზეც კურსდამთავრებული უნდა დაეუფლოს გარკვეულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მან ვერ ნახა შეფასების მეთოდები, მიუხედავად იმისა, რომ არჩევენ ქეისებს, ეს ყველაფერი არის თეორიული ნაწილი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განცხადა, რომ სამაგისტრო საფეხურზე კანონმდებლობა ავალდებულებს საკვალიფიკაციო ნაშრომის არსებობას, დანარჩენი პრაქტიკა დამოკიდებულია მისი შინაარსიდან გამომდინარე.
დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ძირითადად ეს არის სალექციო პროცესზე აგებული სწავლება, მაგრამ ის რაზეც საბჭოს წევრი საუბრობს, როგორც აუცილებელ პრაქტიკულ უნარებზე, ბევრ თეორიულ საგნებშიც არის ინტეგრირებული, მაგ., თეორიულ ფიზიკაში შეუძლებელია პრაქტიკული ნაწილის გამოტანა, თუმცა კურიკულუმიც შეუძლებელია გაიწეროს ისე, რომ საერთოდ არ იყოს პრაქტიკა თავისი არსით, რადგან პრაქტიკა ბევრნაირი შეიძლება იყოს, სწორედ ასეა განსახილველ პროგრამაში ფარმაცევტული ქიმია 1, ფარმაცევტული ქიმია 2, სადაც მეთოდებია დაკონკრეტებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, განაცხადა, რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევები სტუდენტებს უკვე შემეენილი აქვთ ბაკალავრიატის პროგრამის გავლის დროს, ისინი გადიან ზოგად არაორგანულ ქიმიას, ორგანულ ქიმიას, ანალიზურ ქიმიას, ფარმაცევტული ქიმიის საფუძვლებს, როდესაც პრაქტიკული ნაწილი სამაგისტრო და უფრო გაღრმავებულად სადოქტორო პროგრამის დროს გამოიხატება კვლევით კომპონენტზე მუშაობისას, არცერთ სამაგისტრო პროგრამაში არ ხდება პრაქტიკული ნაწილის შეფასება.
საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის, მოსაზრებით, გასაგებია, რომ საბაკალავრო დონეზეც გარკვეულ უნარ-ჩვევებს აძლევენ სტუდენტებს, სხვა შემთხვევაში პროგრამა ვერ ექნებოდათ, თუმცა ამ შემთხვევაში კითხვა ეხებოდა, საკითხს, რომ თუ დაწესებულება მიზნად ისახავს - კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ საშუალება და კომპეტენცია იმუშაონ წამლის წარმოებასა და ხარისხის კონტროლზე, სწორედ ამასთან დაკავშირებით ითხოვდა განმარტებას თუ სად იყო აღნიშნული კომპონენტი მოცემული. ნაშრომის შესახებ მან განაცხადა, რომ ნაშრომი, რომელშიც ყოველთვის არის სამეცნიერო კომპონენტის გარდა პრაქტიკული კომპონენტიც, შესაძლებელია ნაშრომი იყოს სხვა თემაზე, არ მოიცავდეს ამ კომპონენტს და, შესაბამისად, აღნიშნული საკითხები რამდენად ჯეროვანი იქნება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ სტუდენტებს აქვთ 30 კრედიტიანი თეზისი, რაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ 30 კრედიტიანი პრაქტიკული ნაწილი, ასევე, მათ დამთავრებული აქვთ ბაკალავრიატის საფეხური. დაწესებულებას აქვს „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამა, სადაც ლილი არაბული ასწავლის რამდენიმე პრაქტიკულ კურსს, რაც ნიშნავს, რომ სანამ სტუდენტები გახდებიან მაგისტრატურის სტუდენტები, მათ უკვე გავლილი აქვთ რამდენიმე პრაქტიკული კურსი, როდესაც ისინი მიდიან ლაბორატორიაში, სკოლის წესის თანახმად, მათ ხვდებათ ლაბორატორიის ორი მენეჯერი, სანამ დაიწყებენ პროექტს/თეზისზე მუშაობას, მენეჯერი აწვდის მათ ყველა საჭირო ინფორმაციას. წარდგენილია ორი პროგრამა, ანუ დაწესებულებას ჰყავს მაგისტრანტები და დოქტორანტებიც, თუ მაგისტრანტებს სჭირდებათ დახმარება მათ შეუძლიათ იმუშავონ დოქტორანტებთან ერთად. თვითონ, როგორც პროფესორი და ხელმძღვანელი თავის სტუდენტებს ასწავლის და აწვდის საწირო ინფორმაციას, მათ აქვთ ერთი წელი პრაქტიკული კვლევისთვის, რაც მისი მოსაზრებით, საკმარისია. დოქტორანტებს კი აქვთ 3 წელი კვლევისთვისა და ლაბორატორიაში პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად, რაც მათ აძლევს მზაობას დასაქმებისთვის. მისი მოსაზრებით არ არის საჭირო დამატებითი პრაქტიკული კურსი, რადგან მათ უკვე გავლილი აქვთ რამდენიმე პრაქტიკული კურსი და იციან ლაბორატორიაში მუშაობა.

საბჭოს წევრის, თეა მჭედლურის, თქმით, პროგრამაში გაწერილია, რომ პროგრამამ უნდა განავითაროს პრაქტიკული უნარები, რასაც ითვალისწინებს მიზნები და შედეგები. მისი მოსაზრებით ფარმაცევტული ქიმია არის ისეთი პროგრამა, რომელიც პრაქტიკული უნარების განვითარების გარეშე შეუძლებელია გავიდეს იმ შედეგებზე, რომელიც გაწერილია. გარდა იმისა, რომ პროგრამაში პრაქტიკა გაწერილი არ არის და თვლიან, რომ ეს მათი გემოვნების საკითხია, აქვთ 7 ძირითადი სასწავლო კურსი, საბჭოს წევრი დეტალურად გაეცნო სილაბუსებს, მაგ., „ფარმაცევტული ქიმია 1“, „ფარმაცევტული ქიმია 2“, „ბიოქიმია“, „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“, „რეაქციები და სინთეზი ფარმაცევტულ ქიმიაში“, სადაც დაწესებულებას აქვს მხოლოდ ლექცია-სემინარები. დაინტერესდა მათი მოსაზრებით, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული სასწავლო კურსები გავიდეს შედეგზე ლაბორატორიული და კვლევითი სამუშაოების გარეშე. ასევე, დაინტერესდა, თუ რატომ თვლიან, რომ პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი არ არის საჭირო, მაშინ, როდესაც პროგრამა არის „ფარმაცევტული ქიმია“. მან განაცხადა, რომ ვერ ნახა თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის ხელმძღვანელი, დაინტერესდა, არის თუ არა მისი ფუნქცია-მოვალეობები კონკრეტულად რომელიმე დოკუმენტში გაწერილი. თხოვა დაეზუსტებინათ თუ რამდენი სამაგისტრო ნაშრომის/თეზისის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ მათი გემოვნების შესაბამისად არ წყდება პრაქტიკული კომპონენტის არსებობა/არ არსებობა, ეს არის პროგრამის განვითარების საბჭოს მთელი გუნდი, რომლის კომპეტენციაზეც უკვე ისაუბრეს, სწორედ ისინი წყვეტენ პრაქტიკული კომპონენტი ცალკე ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი თუ ინტეგრირებული. ერთ ხელმძღვანელს რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია სამაგისტრო საფეხურის დებულებით განსაზღვრული არ არის, მაგრამ დოქტორანტურის საფეხურზე ეს არის მაქსიმუმ 5 დოქტორანტი, პრაქტიკული თვალსაზრისით ვერ აწესებენ, რადგან ინსტიტუციას აქვს რეკომენდაცია, რომ ერთ ხელმძღვანელთან მიმართებაში არ იყოს 10, 15 და 20 ნაშრომი, რისი პრეცედენტიც არ ფიქსირდება, შესაბამისად ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც დებულების დონეზე განისაზღვრა არის მაქსიმუმ 5, თუმცა სავალდებულოდ და იმპერატიულად არ არის გაწერილი, რადგან ასეთი ტიპის შეზღუდვებმა შესაძლებელია სხვა უფრო მძიმე პროცესი შეაფერხოს. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები ცალკე დოკუმენტაციის სახით თვითშეფასების ანგარიშთან ერთად იგზავნება, რაც გაწერილია. პროგრამის ხელმძღვანელს ნიშნავს და ირჩევს თავისი კომპეტენციის/კვალიფიკაციის შესაბამისად სკოლა, ან დამოუკიდებელი საავტორო პროგრამის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს იდეა, ამასთანავე შესაძლებელია ჰქონდეს იდეა, მაგრამ შინაარსობრივ ნაწილში სჭირდებოდეს სხვა სახის ჩართულობა და თანახელმძღვანელის პოლიტიკა მათთანაც არსებობს. პროგრამის ხელმძღვანელი პირველ რიგში ირჩევა თავისი კომპეტენციისა და ცოდნის შესაბამისად, რომელიც გარდა შინაარსობრივი საკითხების უზრუნველყოფისა, ამასთანავე ის უნდა იყოს პირი, რომელიც ადმინისტრაციულ და ტექნიკურ საკითხებსაც მოაგვარებს, აღნიშნული ფუნქციები შეიძლება ადამიანებზე იყოს გადანაწილებული ან ერთ ადამიანის მოვალეობებში იყოს მოქცეული, რაც დოკუმენტალურად არის გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, პრაქტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სინთეზურ ქიმიაში აქვს დაცული სამაგისტრო/სადოქტორო ხარისხები, პრაქტიკული ნაწილი არ ჰქონია არც სამაგისტრო და არც სადოქტორო პროგრამაზე, პირიქით ჰქონდათ გაღრმავებული სხვა საგნების თეორიული ნაწილი. შეძენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით სტუდენტი შევა ლაბორატორიაში სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად, მთელი ამ დროის განმავლობაში აძლიერებს თავის მონაცემებს ხელმძღვანელთან ერთად, ამდენად პრაქტიკული ნაწილის, როგორც სასწავლო კურსის შეტანა არ მიაჩნია მიზანშეწონილად.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა მისივე კითხვა, რომ ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებში აქვთ მხოლოდ თეორიული ნაწილი, არსად არ არის გაწერილი არც ლაბორატორიული და არც პრაქტიკული სამუშაო, რეალურად თუ ლაბორატორიაში ატარებენ სამუშაოებს, აღნიშნული სილაბუსში გაწერილი უნდა იყოს თავისი საკითხებითა და საათებით, რა დროს უთმობს სტუდენტი და როგორ ხორციელდება პროცესი, რაც გადმოცემული უნდა იყოს შეფასებაშიც, თუმცა ამ საგნებში მხოლოდ თეორიული ნაწილებია მოცემული.
დაწესებულების წარმომადგენელი, ლილი არაბული, დაინტერესდა, თუ როგორ შეიძლება სილაბუსში შეეტანათ ინფორმაცია თუ რამდენ საათს დაუთმობდნენ პრაქტიკულ მუშაობას.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა თეორიული ნაწილის გავლის შემდეგ პრაქტიკული სამუშაო ტარდება თუ არა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, განაცხადა, რომ ლაბორატორიაში მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომზე.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა, უტარებდნენ თუ არა ლაბორატორიულ სამუშაოებს სტუდენტებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, განაცხადა, რომ ლაბორატორიული სამუშაოები სტუდენტს უკვე გავლილი აქვს რამდენიმე საგანში, საბაკალავრო დონეზე.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა, სამაგისტრო საფეხურზე იმიტომ დაიწყო თუ არა სტუდენტმა სწავლა, რომ სურდა თეორიულ ცოდნასთან ერთად განევითარებინა პრაქტიკული კომპონენტიც. მისთვის გაუგებარია თუ როგორ შეიძლება აღნიშნულ პროგრამაში არ იყოს პრაქტიკული ნაწილი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ როგორც უკვე აღნიშნა 30 კრედიტი აქვთ გამოყოფილი სამაგისტრო ნაშრომისთვის, ყველა სასწავლო კურსი აძლევს სტუდენტებს ინფორმაციას თუ როგორ უნდა დაწერონ თეზისი. ეს 30 კრედიტი არის პრაქტიკული კომპონენტი, სადაც სტუდენტები ერთ წელს ატარებენ ლაბორატორიაში და ამასთანავე რამდენიმე პრაქტიკული კურსი უკვე გავლილი აქვთ საბაკალავრო საფეხურზე.
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, განაცხადა, რომ სილაბუსში მითითებულია პრაქტიკული მუშაობა, როგორც სწავლების მეთოდი, სადაც მოიაზრება ლაბორატორიული მუშაობა.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა, თუ როგორ მოიაზრებოდა ლაბორატორიული მუშაობა, როდესაც დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი შეფასება. მისი განცხადებით, წინაპირობის თანახმად შესაძლებელია მიეღოთ ბიოლოგიის ბაკალავრი, რომელსაც საერთოდ არ აქვს გავლილი ფარმაცევტული ქიმია, შესაბამისად მას არც მისი კვლევის მეთოდები ეცოდინება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, განაცხადა, რომ ფარმაცევტული ქიმიის გავლა არ არის აუცილებელი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა რომ თავად იურისტია, პროგრამის განვითარების საბჭოზე საკითხის განხილვის დროს კარგად გაიგო, რომ საერთოდ არ სჭირდება ფარმაცევტული ქიმიის გავლა ბიოლოგს. შესაბამისად განსაზღვრეს არეალი, მიახლოებით იმ მინიმალური კომპეტენციები რაც შეიძლება იყოს. ასევე, კანდიდატები ფასდებიან გასაუბრების/გამოცდის დონეზე.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, განაცხადა, რომ, მაგ., ბიოქიმია შეუძლებელია შედეგზე გავიდეს ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობის შესრულების გარეშე.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დასძინა, რომ, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა არ არის შეუძლებელი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ თუ რომელიმე სასწავლო კურსს დაამატებდა პრაქტიკის კომპონენტს ეს იქნებოდა ბაკალავრიატის საფეხური და არა მაგისტრატურის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განცხადა, რომ ინტეგრირებულია კომპონენტები და თუ რაიმე სახის პრაქტიკული დავალება უნდა გააკეთოს სამაგისტრო საფეხურზე ეს მიემართება სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებაში. ძირითადად ლექცია-სემინარების ნაწილია, თუმცა ეს აპრობირებული მეთოდია.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განმარტა, რომ სილაბუსებში არ ჩანდა ის პრაქტიკული ნაწილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი საუბრობდა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ, მაგ., „ფარმაცევტულ ქიმია 1-ში“ იყო პრობლემის დასმა და მათი გადაჭრა, პრაქტიკული მუშაობა.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაინტერესდა, თუ სად იყო პრაქტიკული მუშაობა საკითხებში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განცხადა, რომ ახსნის შემდეგ არის გამოკითხვა წერითი სახით სადაც არის კონკრეტული ქეისები, რომელიც როგორ ფასდება წარმოდგენილია მთელი Excel-ის ფაილი, თავისი კრიტერიუმით.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა, პერსონალის CV-ებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ბოლო გამოქვეყნებები დაფიქსირებულია 2018 წელს, დაინტერესდა ძველი CV-ები ხომ არ იყო გადაგზავნილი, რადგან ერთ-ერთ პერსონალთან ეწერა „ბოლო 5 წლის გამოქვეყნების სია“, რომელიც იწყებოდა 2013 წლიდან და მთავრდებოდა 2018 წელს. სამაგისტრო საფეხურის განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო გამოცდილებაში წერია „გამოცდილი მედდა“. დაინტერესდა აღნიშნული შემთხვევები იყო ტექნიკური ხარვეზები თუ რაიმე სპეციფიკაა, რომელსაც აღნიშნული ფრაზა პასუხობს. სილაბუსების შესახებ მან განაცხადა, რომ სილაბუსებში ძირითადად წარმოდგენილია ორი სახის ლიტერატურა - ძირითადი და დამხმარე. მაგრამ კვირების განაწილებასთან მითითებულია გვერდების რაოდენობაც, რომელიც უნდა აითვისოს მაგისტრანტმა, ზოგიერთთან არის 3, 5, 8 გვერდი, დაინტერესდა აღნიშნულიც რაიმე სპეციფიკასთან ხომ არ იყო დაკავშირებული.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა საბჭოს წევრს დაეკონკრეტებინა სახელი და გვარი პერსონალის, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნება არ უდასტურდება, რადგან მათგან გასული დოკუმენტაციებიდან არცერთი არ არის ასეთი. გვერდებთან დაკავშირებით, განმარტა, რომ სამაგისტრო საფეხურზე ძირითადად არ უთითებენ გვერდების რაოდენობას, შესაბამისად ეს არის ტექნიკური საკითხი, რომელზეც IT სამსახურთან ერთად მუშაობენ, რომ გვერდების მაგივრად იყოს, მაგ., პარაგრაფების გამოჩენის შესაძლებლობა. ადრე როდესაც სილაბუსს ავსებდნენ გვერდების რაოდენობა აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო, მაგრამ ბოლო პერიოდში გვერდებს აღარ უთითებენ.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა, განაცხადა, რომ ლიტერატურის ნაწილში ბოლო გვერდი მითითებულია - 230, სწორედ ამიტომ გაუჩნდა აღნიშნული კითხვა, საუბარია წამლის დიზაინზე და ლოგიკურად შესაძლებელია ყოფილიყო 3 და 5 გვერდიანი საკითხავი მასალა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზია, თუმცა აღნიშნული შინაარსობრივ საკითხს არ უქმნის პრობლემას.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა, განაცხადა, რომ საუბარი იყო ერთ-ერთ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალზე, რომელთანაც „ბოლო 5 წლის გამოქვეყნების სიაში“ მითითებული გამოქვეყნებები იწყებოდა 2013 წლიდან და მთავრდებოდა 2018 წელს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დასძინა, რომ ეს არის ფაქტობრივი გარემოება დოკუმენტაციაში, რის შესახებაც საბჭო იმსჯელებდა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განცხადა, რომ შესაძლებელია არ ჰქონდეს გამოქვეყნებული სტატია, მაგრამ იყოს პროექტში მონაწილეობა, რაც აკრედიტაციის სტანდარტითაც დაშვებულია.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა, შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით დანართების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, თუმცა მან ვერ მიაგნო აღნიშნულ დოკუმენტს, შესაბამისად დაინტერესდა თუ სად იყო ჩაშლილი 100 ქულიანი შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებით.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განცხადა, რომ წარმოდგენილია უნივერსიტეტის ვებ გვერდზეც. მისი განმარტებით სამაგისტრო დებულებაში, მხოლოდ საუნივერსიტეტო მიდგომებია, დანარჩენი მოცემულია დანართებად, შესაბამის პროგრამასთან მიმართებით. არსებობს დოკუმენტი სახელწოდებით „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია“, რომელშიც წარმოდგენილია თუ როგორ უნდა გაფორმდეს ნაშრომი და შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის შესაბამისად არის გაწერილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:24
დასრულების დრო: 17:25

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ მოესმინათ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითიც და ერთად ემსჯელათ გადაწყვეტილების მიღებაზე, რადგან ორივე საგანმანათლებლო პროგრამაზე შედგენილ ექსპერტთა ჯგუფის დასკნებში არის ურთიერთგადამფარავი საკითხები.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცევტული ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოფარმაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია - 0916

12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტის IV შენობა, კოსტავას ქუჩა №77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა და ირინა გველესიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნები იყოს მიღწევადი და აქედან გამომდინარე აუცილებელია პროგრამას დაემატოს ფარმაცევტული ტექნოლოგიის სასწავლო კურსი/კურსები;
2. რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს დაემატოს დამსაქმებელი;
3. რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება;
4. რეკომენდებულია პროგრამაში და სილაბუსებში რუბრიკა „ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია“ ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების გაზომვადი კრიტერიუმების გათვალისწინებით;
5. რეკომენდებულია მოხდეს სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მორგება პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშნული ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დარგობრივი კომპეტენციების სწორად ასახვას

ძირითადი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შედეგებთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების შესაძლებლობების განსაზღვრას;
6. რეკომენდებულია პროგრამაში და წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს იდენტური;
7. რეკომენდებულია პროგრამაში გაკეთდეს ჩანაწერი/განმარტება არჩევით საგნებთან დაკავშირებით, რათა ჯამური კრედიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 60 კრედიტს;
8. რეკომენდებულია შემცირდეს სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა და გაიზარდოს კვლევითი კომპონენტი, კვლევის მეთოდების და მეთოდოლოგიის სასწავლო კურსების შესწავლას;
9. რეკომენდებულია ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს, მაგალითად: მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები ფარმაციაში; თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები; სამკურნალო სუბსტანციების ქიმიურ-ფარმაცევტული, ფარმაკოგნოსტური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი; სოციალური და კლინიკური ფარმაცია; ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაკოლოგია, რათა პროგრამის კურიკულუმი შეესაბამებოდეს ფარმაციის დოქტორის კვალიფიკაციას;
10. რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში ინგლისურ ვერსიაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამის კრედიტებში მოცულობასთან დაკავშირებით;
11. რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტში გაიწეროს და დაკონკრეტდეს საერთაშორისო სამეცნიერო სტატიების/პუბლიკაციების გამოქვეყნების პირობები;
12. რეკომენდებულია გაიზარდოს სამეცნიერო კომპონენტის სწავლების მიზნით შემუშავებული სასწავლო კურსები;
13. რეკომენდებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები, სრულად უზრუნველყოფდეს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას;
14. რეკომენდებულია სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გაწერა კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით და მათი სრული გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში;
15. რეკომენდებულია შეფასების მეთოდები გადაიხედოს და ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
16. რეკომენდებულია ქმედით მექანიზმად იქცეს საკონსულტაციო საბჭო და უზრუნველყოფილ იქნას ყველა პროგრამის დოქტორანტისთვის მისი ხელმისაწვდომობა;
17. რეკომენდებულია გაფორმდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიასთან და ფარმაცევტულ საწარმოსთან;
18. რეკომენდებულია გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება;
19. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი. სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი აქტივობებისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფა გათვალისწინებულ იქნას პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში;
20. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას;
21. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და

მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე;
22. რეკომენდებულია ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.);
23. რეკომენდებულად მიგვაჩნია გადაიხედოს დოქტორანტურის დებულების ზემოაღნიშნული ჩანაწერი და დაზუსტდეს სტატიის გამოქვეყნების პირობები და კრიტერიუმები. სახელდობრ, რეკომენდებულია დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობა პირობაა გახდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება, კერძოდ კი ა) რეფერირებადი (Peer-reviewed)სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), ბ) ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების პროგრამების დოქტორანტებისთვის შესაძლებელია ამავე მიზნით შეთავაზებულ იქნას ERIH PLUS) ბაზებში;
24. რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა;
25. რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის;
26. რეკომენდებულია გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის გარე შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსის შინაარსი/სტრუქტურა/კრედიტების მოცულობა/შეფასების სისტემა, პროგრამის სწავლა-სწავლებისაა და შეფასების მეთოდები, პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვ.);
27. რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატულ მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

28. რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით;
29. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას;
30. რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით:
· მოხდეს კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება;
· შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ, „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების 80% იდენტურია, რაც „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე იყო შემუშავებული რაც დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ბუნდოვანი იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ყურადღება გაემახვილებინათ იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც განსხვავებული იყო სამაგისტრო საფეხურის რეკომენდაციებისგან.
უნივერსიტეტის პრორექტორი, სოსო გოგილიძემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გაუგებარი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას; ასევე დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ბუნდოვანი იყო თუ კონკრეტულად რომელ პროექტებზე ჰქონდათ საუბარი ექსპერტთა ჯგუფს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოსთან წევრებს, რომ ექსპერტთა ჯგუფს პასუხი გაეცა დაწესებულების მიერ დასმულ დამაზუსტებელ შეკითხვებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათ დაეფიქსირებინად თავიანტი პოზიცია არსებული რეკომენდაციების შესახებ, და შემდგომ საბჭოს თავმჯდომარე მიმართავდა ექსპერთა ჯგუფს დამაზუსტებელი კითხვებით,
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულება მზად იყო, რომ ექსპერტტა ჯგიფს მიერ შემუშავებული თითოეული რეკომენდაცია განეხილათ და განმარტება გაეკეთებინათ, თუმცა, მან კიდევ ერთხელ შეუამდგომლობით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის მიეცათ

უფლება დეტალურად განემარტათ, თუ რას გულისხმობდნენ მათ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციები, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ბუნდოვანი იყო, რადგან მისი განმარტებით რეკომენდაციები და რეკომენდაციის აღწერითი ნაწილი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, არჩილ ჯანგირაშვილმა დამატებით განაცხადა, რომ მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფის განმარტების შემდგომ შეძლებდა დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციის წარდგენას საბჭოს წევრებისთვის. და

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მათი შუამდომლობა ეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ ყველა რეკომენდაციას თუ იყო გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებისთვის გასაგები იყო და შეძლებდნენ არგუმენტების წარმოდგენას,

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტა, რომ დაახლოებით 6 რეკომენდაციაზე, რომელიც სამაგისტრო საფეხურის რეკომენდაციებისგან განსხვავებულია, რომელთა შესახებ ექსპერტთა ჯგუფს უნდა მიეწოდებინა მეტი ინფორმაცია დაწესებულებისათვის.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, ყურადღება გაამახვილა შემდეგ რეკომენდაციაზე: -„რეკომენდებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები, სრულად უზრუნველყოფდეს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას“ - სოსო გოგილიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეკონკრეტებინათ თუ რომელ კვლევით პროექტებზე იყო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს უზრუნველყოფენ თუ არა დოქტორანტების ჩართვას კვლევით პროექტებში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დაადასტურა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა დოქტორანტების კვლევით პროექტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს მიემართათ ექსპერტთა ჯგუფისთვის დამაზუსტებელი კითხვებით.

უნივერსიტეტის პრორექტორი, სოსო გოგილიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ თუ რას გულისხმობდნენ მოცემულ რეკომენდაციებში: „რეკომენდებულია ქმედით მექანიზმად იქცეს საკონსულტაციო საბჭო და უზრუნველყოფილ იქნას ყველა პროგრამის დოქტორანტისთვის მისი ხელმისაწვდომობა“. - მან განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო 19 სწავლის შედეგის შემცირების შესახებ, შესაბამისად დაინტერესდა, ექსპერტთა ჯ გუფი რეკომენდაციების გაწერის დროს რატომ ზრდიან რეკომენდაციების რაოდენობას ხელოვნურად, დასაქმებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო ერთ პუნქტში გაშლილია სამად რეკმენდაციად, სტატიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ჩაშლილია ორად, ხარისხის სამსახურის შესახებ 5 რეკომენდაციაა, რაც ჯამში მოცემულია 30 რეკომენდაციად და როდესაც დაწესებულების წარმომადგენლებმა დაალაგეს ჯგუფურად აღმოჩნდა რომ შესაძლებელი იყო რეკომენდაციების რაოდენობა ყოფილიყო ათამდე. მან დააზუსტა ჰქონდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფისგან კითხვებზე პასუხის მიღების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ სამ რეკომენდაცია არ ეთანხმებოდა

რაზეც, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ სწორემამიტომ უმჯობესი იქნებოდა თითოეული რეკომენდაციაზე განეცხადებინა დაწესებულებას თავიანთი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, არჩილ ჯანგირაშვილ კითხვითთვალისწინებდა თუ არა აღნიშნული ფორმატი დისკუსიაში შესვლას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ ეს არის ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ფაქტები უნდა იყოს მაქსიმალურად გამოკვლეული.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების კითხვა უკავშირდებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი რეკომენდაციების რაოდენობას.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ განმარტება გააკეთა, რომ დაწესებულებას ექსპერტებთან კითხვები ჰქონდა არა რეკომენდაციების რაოდენობასთან დაკავშირებით, არამედ, რეკომენდაციების შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ბუნდოვანი იყო რატომ გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები და ითხოვდნენ ამ რეკომენდაციების გაცემის საფუძველის განმარტებას.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ ადმინისტრაციული წარმოების დროს წარმოებაში ჩართულ ყველა მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებელლობა დააფიქსიროს თავისი პოზიცია, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ჩართული მხარეების პოზიციის საფუძველზე.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ განაცხადა, რომდაწესებულების მხრიდან შუამდგომლობა იყო დაყენებული, რომ ექსპერტთა ჯგუფს თიოთეული რეკომენდაცია დეტალურად განემარტათ, აღნიშნული შუამდგომლობა კი საბჭოს თავმჯდომარემ არ დააკმაყოფილა. დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ კითხვა იყო დამაზუსტებელი ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა დოქტორანტების კვლევით პროექტებში ჩართვას, კონკრეტულად რა პროექტებს გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი..
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ სწორედ ამას გულისხმობდა, რადგან წარმოებას აქვს შემდეგი თანმიმდევრობა, ჯერ გამოხატავენ პოზიციას, შემდეგ სვამენ კითხვებს და პასუხის შესაბამისად აკეთებენ შეჯამებას. მან მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეხატათ პოზიცია, დაესვათ კითხვები, რომლებსაც საბჭოს თავმჯდომარე მოინიშნავდა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პოზიციის დაფიქსირების შემდეგ შეაჯამებდნენ.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, მოითხოვა დრო, რომ ესაუბრა თითოეულ რეკომენდაციაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მისცა უფლება ესაუბრა რეკომენდაციების შესახებ.
უნივერსიტეტის პრორექტორი, სოსო გოგილიძე, რეკომენდაციის (რეკომენდებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები, სრულად უზრუნველყოფდეს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას) შესახებ, დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა უნივერსიტეტის პრორექტორს, სოსო გოგილიძეს, რომ გაეგრძელებინა რეკომენდაციების განხილვა.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ სურდა მიეღო პასუხი ექსპერტთა ჯგუფისგან, ასევე, დაინტერესდა არღვევდა თუ არა რაიმეს.
საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა, რომ მას უნდა გაეგრძელებინა მსჯელობა, საბჭო კი ჩაინიშნავდა კითხვებს და შემდეგ გადაწყვეტდნენ ექსპერტთა ჯგუფს გაეცა თუ არა პასუხი.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ წარმოებას აქვს შემდეგი თანმიმდევრობა, ჯერ გამოხატავენ პოზიციას, შემდეგ სვამენ კითხვებს და პასუხის შესაბამისად აკეთებენ შეჯამებას. არ მიმდინარეობდა დისკუსია, ჯერ არის ერთი მხარის პოზიცია, შემდეგ მეორესი და შეკითხვები, სთხოვა დაწესებულებას დაეცვა აღნიშნული რეგლამენტი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, მიმართა საბჭოს წევრს, ლევან მოსახლიშვილს, მან ჰკითხა ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებდა თუ არა, რომ ერთ მხარეს შეეძლო მიემართა შუამდგომლობით, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ მას კი არ გაეცა პასუხი, ან მას მოეთხოვა პასუხი, არამედ საბჭოს, როგორც ეშუამდგომლა კითხვაზე პასუხის მისაღებად.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განმარტა, რომ საბჭოს უარი არ უთქვამს, უბრალოდ სთხოვა დაესრულებინათ სიტყვა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ დაასრულა ერთ კითხვაზე საუბარი, რადგან სხვა რეკომენდაცია, უკვე სხვა გარემოებებს ეხებოდა.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციულის და საერთოდ ნებისმიერ წარმოებაში, უნდა დაასრულონ პოზიცია, შემდეგ დასვან კითხვები და შემდეგ გასცემენ პასუხს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, სთხოვა დაეკონკრეტებინა მუხლი, რომელშიც ეწერა აღნიშნული. ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის მიხედვით მაქსიმალურად უნდა იყოს საკითხი შესწავლილი და ვინაიდან მაქსიმალურად იყოს საკითხი შესწავლილი, დაწესებულება შუამდგომლობს, რომ განმარტება გააკეთოს ექსპერტთა ჯგუფმა, რადგან რეკომენდაციები ვერ გაიგო დაწესებულებამ და შესაბამისად ვერ გაიგებს ვერც საბჭო, ამიტომ მეტი ინფორმაციისთვის დააყენა შუამდგომლობა.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, დააზუსტა, რომ საბჭოს არ უთქვამს უარი.
უნივერსიტეტის პრორექტორის, სოსო გოგილიძის განცხადებით, იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს პოზიცია გაუგებარია შინაარსობრივად რა იგულისხმება ზოგიერთ რეკომენდაციაში, იმის მიხედვით თუ რა პასუხს მიიღებს ექსპერტთა ჯგუფისგან დაწესებულება შესაძლებელია დაეთანხმოს კიდეც რეკომენდაციებს, მისთვის გაუგებარია რეკომენდაციებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დასძინა, რომ არ შედიან დისკუსიაში, უბრალოდ ითხოვენ თითოეულ რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტებას.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ეპასუხათ დანარჩენ რეკომენდაციებზე და შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი ერთად გასცემდა კითხვებზე პასუხს.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ საბჭოს აქვს შემდეგი მიმდინარეობა, ჯერ ერთი მხარე გამოხატავს პოზიციას, შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლები, თუ დაწესებულებას არ აქვთ პოზიცია გადავლენ შემდეგ საკითხზე, საბჭო ექსპერტთა ჯგუფს მათ მიერ დასმულ კითხვებს ერთად დაუსვამს და დაწესებულებას ექნება უფლება შემაჯამებელ სიტყვაში დააფიქსიროს პოზიცია გამოტოვებული რეკომენდაციებთან მიმართებით.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტა, რომ მისთვის გაუგებარია თუ რა პრობლემა იყო საკითხის ამოწურვის მიზნით ჩაკითხვა.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ საბჭო შეაჯერებს პოზიციას.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ დააფიქსირა თავისი პოზიცია.
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა საბჭოს განესაზღვრა თუ რომელ რეკომენდაციებზე გაეცათ დაწესებულებას პასუხი.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების გადასაწყვეტი იყო თუ რომელ რეკომენდაციებს ისაუბრებდა. მან მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ჰქონდათ თუ არა კითხვები ექსპერტების მიმართ რეკომენდაციების შინაარსთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, უპასუხა, რომ როდესაც კითხვა-პასუხის რეჟიმზე გადავიდოდნენ მაშინ მიმართავდა დაწესებულება ექსპერტებს კითხვებით, რადგან შესაძლებელია დისკუსიის ფარგლებში წამოჭრილიყო დამატებითი კითხვებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ დაესვათ კითხვები, რომლებსაც მოინიშნავდა და შემდეგ დააკმაყოფილებდა შუამდგომლობას.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, რეკომენდაციის (რეკომენდებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები, სრულად უზრუნველყოფდეს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას) შესახებ დაინტერესდა თუ რა კვლევითი პროექტი იგულისხმებოდა რეკომენდაციაში; რეკომენდაციის (რეკომენდებულია ქმედით მექანიზმად იქცეს საკონსულტაციო საბჭო და უზრუნველყოფილ

იქნას ყველა პროგრამის დოქტორანტისთვის მისი ხელმისაწვდომობა) შესახებ სთხოვა განემარტათ აღნიშნული რეკომენდაცია; რეკომენდაციის (რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს დაემატოს დამსაქმებელი) შესახებ, ასევე სთხოვა განემარტათ იგი; დაინტერესდა თუ რას გულისხმობს ექსპერტთა ჯგუფი რა პარამეტრები უნდა დააკმაყოფილოს დაწესებულებამ, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვის დროს შედეგები ჰქონდეთ ვალიდური და რეპრეზენტატული (რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის); რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია გაფორმდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიასთან და ფარმაცევტულ საწარმოსთან) დაკავშირებით, განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები და მათთვის გაუგებარია რატომ აღმოჩნდა აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა ექსპერტებს განემარტათ რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ, შრომის ბაზრის კვლევის შესახებ განაცხადა, რომ რეალურად წარმოდგენილ შრომის ბაზრის კვლევაში არ იკითხება არც ვინ გამოიკითხა, არც რა პასუხები გასცა, არც ანალიზი, რამდენად მოთხოვნილი იქნება აღნიშნული პროფესია, ვიზიტის ფარგლებშიდამსაქმებლები არ იყვნენ წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფი ერთ დამსაქმებელს გაესაუბრა, რომელმაც გაიკვირვა, დამსაქმებლისთვის ბუნდოვანი იყო რა პროგრამაზე იყო საუბარი, ადამიანი ჩაერთოთ ინდოეთიდან, იყო აბსოლუტურად სხვა მიმართულებაში, როდესაც ჰკითხეს თუ რამდენი ადამიანი დასაქმდებოდა, რა წარმოდგენა ჰქონდა შრომის ბაზარზე, რამდენად საჭირო იყო, არც სილაბუსს იცნობდა, არც პროგრამას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფისთვის ძალიან რთული იყო ემსჯელა ან კურსდამთავრებულების დასაქმების საკითხზე, ან შრომის ბაზრის კვლევაზე, მისი მოსაზრებით მუდმივად განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, როგორც პიროვნება, ისე უნივერსიტეტი, აქედან გამომდინარე, თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე არანაირი რელევანტობა/კვლევა არსებობს და მისთვის გაუგებარია თუ რატომ უნდა მიუთითოს ვინმეს რამდენი ადამიანი უნდა გამოკითხოს, თუმცა გამოკითხულიც კი არ უნახავთ არავინ. სწორედ ამაზეა საუბარი, როდესაც შრომის ბაზრის კვლევას ახსენებენ, დამსაქმებლის ჩართვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე მან განაცხადა, რომ გაესაუბრა ერთ ადამიანს, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა აღნიშნულ პროგრამაზე და შეუძლებელია იმსჯელონ, რომ ვინმე საქმის კურსშია, დასაქმდება თუ არა სტუდენტები და კურსდამთავრებულები და რამდენად მოთხოვნადია. სტატიებთან დაკავშირებით, განცხადა, რომ ესაუბრნენ ორ დოქტორანტს,რომლებმაც აღნიშნეს, რომ სტატიები დაწერილიც არ ქონდათ, არც იცოდნენ როგორ უნდა დაეწერათ და სად უნდა გამოექვეყნებინათ,ექსპერტთა ჯფუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, დაეყრდნო ვიზიტის ფარგლებში გამართულ სესიებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცებს.

კვლევითი კომპონენტის შესახებ ექსპერტმა განმარტა, რომსადოქტორო პროგრამის სტუდენტები არ იყვნენ ინფორმირებულები თუ რას ნიშნავს სამეცნიერო კვლევითი პროექტები, როგორ უნდა იყვნენ ჩართულები,რა კვლევები უნდა ჩაეტარებინათ.,

ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ პირდაპირი თუ ირიბი ბრალდებები მოისმინა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ, მან დამატებით განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველი იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყველაფერი, მტკიცებულებების სახით ექსპერტთა ჯგუფთანაც არის წარმოდგენილი და გასაუბრების შედეგები იყო დამატებითი ინდიკატორი, რამაც მათ მისცა რეკომენდაციების შემუშავების საშუალება. მისი განცხადებით რეკომენდაციები ორ პროგრამას შორის იდენტურია, რადგან ერთი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა იყო წარმოდგენილი, განსხვავებული იყო დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, სადისერტაციო დებულება და შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელიც, აკადემიური პერსონალიც განსხვავებული იყო, დანარჩენი ყველა იგივე იყვნენ, შესაბამისად ის პროცედურები, რაც უნივერსიტეტში ამოვიდა,

ერთსადაიმავე დროს მოხდა ვიზიტი, შემოწმდა დოკუმენტები. მან ბოდიში მოიხადა, რომ სხვადასხვა სიტყვებით არ დაწერა ერთიდაიგივე სათქმელი, ალბათ ამ შემთხვევაში არ გამოიწვევდა ბუნდოვანებას. ჩართულობის შესახებ განაცხადა, რომ საკონსულტაციო საბჭო, აკრედიტაციის საბჭო, აღნიშნული საბჭოები ნამდვილად აქვთ დებულებით გათვალისწინებული, იგულისხმება, რომ უნდა უზრუნველყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა ჩართულობას, თუმცა ჩართულობა გასაუბრებების დროს არ დადასტურდა. პროგრამის აკადემიურ პერსონალს, ისევე, როგორც მოწვეულს ან თუნდაც პროგრამის ხელმძღვანელი, აქ არ იგულისხმება მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, სადაც არ იგულისხმება მარტო საუნივერსიტეტო მექანიზმები, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა კითხვები სწორედ ამ მიმართულებით, თუ როგორ აპირებდნენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, რა გეგმები ჰქონდათ განსაკუთრებით კვლევით კომპონენტთან დოქტორანტურაში ან სასწავლო კომპონენტთან მიმართებით, პროგრამის ხელმძღვანელმა პირდაპირ უპასუხა, რომ ეს საკითხები მას არ ეხებოდა და ხარისხი უზრუნველყოფდა აღნიშნულ საკითხებს, რაც ბუნდოვანი იყო, რადგან ხარისხთან მიმართებით, როდესაც უნდოდათ უშუალოდ სპეციფიკის გათვალისწინებით კითხვა, თუ როგორ გადიოდნენ კონკრეტულ შედეგებზე, ხარისხმა პროგრამის ხელმძღვანელთან გადაამისამართა ექსპერტთა ჯგუფი, თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას, შესაბამისად ჩართულობასთან დაკავშირებით ორივე პროგრამაზე იყო პრობლემა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცნობადობის და მონიტორინგის გეგმებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს ინფორმაცია არ მიუღია, მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ ცადეს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს სურდათ დაზუსტება პროექტებთან დაკავშირებით, რაზეც არ გაუციათ პასუხი.

ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ მისი გაწერილი არ არის პროექტებთან დაკავშირებით რეკომენდაცია, პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტთა ჯგუფს განუცხადა, რომ აუცილებლად მოახდენდა სტუდენტების ჩართვას მის პროექტებში, მაგრამ როგორ და რანაირად ამ ყველაფრის დაზუსტება ამ მიმართულებით არ მომხდარა.

ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აინტერესებს თუ როგორია კვლევითი კომპონენტი პროგრამაში, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი არ არის ჩართული კვლევით პროექტებში, საბჭოსთვის უცნობია, გასაუბრების შედეგები, ინტერვიუს დროს საერთოდ არ დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა კვლევით პროექტში, მისთვის უცნობია თუ რატომ არ დაინტერესდა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული სხვა რეკომენდაციებით, რადგან პირველივე რეკომენდაცია, „რეკომენდებულია პროგრამის მიზნები იყოს მიღწევადი და აქედან გამომდინარე აუცილებელია პროგრამას დაემატოს ფარმაცევტული ტექნოლოგიის სასწავლო კურსი/კურსები“, მიზნები არ შეესაბამებოდა შედეგებს, ან პირიქით, მიზნები შედეგებზე ვერ გადიოდა, მიზნებში წერია ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა და ა.შ., როდესაც საერთოდ სასწავლო კურსი არ არის ტექნოლოგიის შესახებ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გასაგები იყო მათ კითხვაზე პასუხი.

ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძე, განაცხადა, რომ 180 კრედიტი ეს არის ტექნიკური შეცდომა, ექპერტთა ჯგუფის კეთილი ნება იყო, რომ აღნიშნული 180 კრედიტი, რომელიც კურიკულუმშია გაწერილი ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნიეს. ასე ტიპის ტექნიკურ შეცდომებს დაწესებულება აღარ უნდა უშვებდეს. თვითშეფასების შესახებ მან აღნიშნა, რომ ეს არ არის იურიდიული დოკუმენტი, ეს არის აკრედიტაციის დებულებით რეგულირებადი დოკუმენტი, რომელიც მოითხოვს, რომ პროგრამასთან დაკავშირებით შეფასებითი, ანალიზური ნაწილი უნდა ჩანდეს. მან განმარტა, რომ მისი არცერთი რეკომენდაცია არ იყო მიკერძოებული.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, დააზუსტა 180 კრედიტი არის და ექსპერტთა ჯგუფმა ეს ტექნიკურ შეცდომად ჩათვალა.

ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ მათი მოსაზრებით ეს შეიძლება ყოფილიყო ტექნიკური შეცდომა, რადგან ამ ტიპის შეცდომებს დაწესებულება არ უნდა უშვებდეს, როდესაც უთხრეს, რომ აღნიშნული პრობლემა იყო, მათაც დაადასტურეს, რომ დიდი ალბათობით ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. რეალურად აღნიშნული ხარვეზი დაფიქსირდა ქართულ/ინგლისურ ვერსიაში, თვითშეფასების დოკუმენტში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თხოვნა იყო, რომ, ვინაიდან ეს იყო ტექნიკური შეცდომა, უნდა გადასულიყო რჩევაში, რასაც სამწუხაროდ რჩევაში ვერ გადაიტანდნენ, რადგან არღვევს კანონმდებლობას.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ სადოქტორო საფეხურზე მიღების გამოცხადებამდე, დებულების მიხედვით იქმნება საკონსულტაციო საბჭო, სადაც პროფესორი მონაწილეობას იღებს სამწლიანი კვლევითი პროექტით, რომელსაც წარუდგენს დაწესებულების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს და შემდგომ ხდება შეფასება, პერსონალის მიერ წარმოდგენილი განსახილველი საკითხი ნამდვილად აქტუალურია საკვლევად და მას კვლევის განსახორციელებლად სჭირდება თუ არა დოქტორანტი. როდესაც მტკიცდება 3 წლიანი პროექტი იმივე საბჭოზე იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან, ეს არის ხელმძღვანელი და ორი პროფესორი, რომელიც მუშაობს მოცემულ დარგში, ამიტომ იყო დაწესებულებისთვის გაუგებარი დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომობის საკითხი.

საკონსულტაციო საბჭოს ფუნქცია, რომელიც დებულებაშია მითითებული ეს არის, სემესტრში ერთხელ უნდა შეიკრიბოს და მოისმინოს, თუ როგორ შესრულდა დაგეგმილი სამუშაო და დაუგეგმო დოქტორანტს მომავალი სემესტრისათვის საქმიანობა, ასევე დაეხმაროს მის განხორციელებაში, მინიმუმ 6 შეხვედრა დოქტორანტსა და საკონსულტაციო საბჭოს შორის 3 წლიანი მოღვაწეობის დროს აქვს, ეს მკაფიოდ არის გაწერილი დებულებაში, ამასთანავე დოქტორანტს შეუძლია თუ საჭიროდ თვლის, მოიწვიოს საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, ამიტომ მისთვის სრულიად გაუგებარია აღნიშნული რეკომენდაცია, ამასთანავე გაუგებარია დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის შემდეგ რატომ არ მოხდა რეკომენდაციის მოხსნა.

კვლევითი პროქტის შესახებ განაცხადა, რომ დოქტორანტი, თავის კვლევით პროექტში ჩართულია პირველი დღიდან, როდესაც დაიწყო ჩაბარება, რადგან მას წინ უძღოდა პროფესორის მიერ სამ წლიანი კვლევითი პროექტის წარმოდგენა და დამტკიცება საბჭოზე, დაინტერესდა სხვა პროექტშიც უნდა ჩაერთოთ თუ არა, რადგან ეს არის დოქტორანტისა და მისი ხელმძღვანელის კვლევა, დოქტორანტები ასევე ერთვებიან საგრანტო პროექტებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არის სხვა თემატიკის. დამსაქმებლების არ არსებობის შესახებ მან განაცხადა, რომ ვიზიტის დროს მკაფიოდ იყო განმარტებული, რომ რადგან პროგრამის ხელმძღვანელი, სამად ხარსარმაღამი ასრულებს კვლევით საქმიანობას, რაც შედის მათ სტრატეგიულ მიმართულებაში, უნივერსიტეტს აქვს გეგმა, რომ უახლოესი 5 წლის მანძილზე დამსაქმებელი იქნება თვითონ შპს საქართველოს უნივერსიტეტი, რადგან მათ სურთ ამ დროის განმავლობაში მინიმუმ 3 დოქტორი აღზარდონ, ეს ესაჭიროება უნივერსიტეტს. ექსპერტს არ უპასუხია კითხვაზე თუ როგორი კვლევა უნდა ჩატარდეს, საუბარია შემდეგ რეკომენდაციაზე - რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის - დაწესებულებისთვის აღნიშნული მიანიშნებს, რომ არავალიდურად არის მიჩნეული პროგრამასთან მიმართებით, თუმცა ასეთი კვლევა მისთვის უცხო არ არის, ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს, ასეთი ფორმულირებით გაცემული რეკომენდაცია არის მიუღწევადი, რომ ყოფილიყო ექსპერტების მიერ დაწერილი, რომ პირველ რიგში დამსაქმებელი არის შპს საქართველოს უნივერსიტეტი, მაშინ რომ ეთქვათ ერთ ან ორი დამსაქმებლის მოსაზრება არ იყო საკმარისი, დაწესებულება მიიღებდა რეკომენდაციას, თუმცა, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი ამბობს, რომ სხვა არავითარი მიზანი არ ჰქონდათ, დაწესებულება სვამს კითხვას ყველაფერი ასახულია დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში, მათთვის გაუგებარია, რადგან

დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის ურთიერთობა უნდა იყოს კოლეგიალური, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა წაიკითხა სადოქტორო დებულებასთან და საკონსულტაციო საბჭოსთან დაკავშირებით, მითუმეტეს ეს არ არის 10 მცნება, რომ აღარაფერი ამოიღონ, შეიძლებოდა რაღაცის ამოკლება, რაღაცაზე უარის თქმა, მაგრამ ასე უნდა ყოფილიყო, ამიტომ იყვნენ დაწესებულების წარმომადგენლები დაბნეულები, რადგან ყველას მოსდის შეცდომა, ისინი არ ფიქრობენ, რომ მათი ნებისმიერი გაკეთებული საქმე იდეალურია, მაგრამ ვერ დაინახეს კოლეგიალობა დასკვნაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ არსებობს ჩანაწერი, რომ სამართლებრივი ნონ-სენსია, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ საკითხი უნდა იყოს შეფასებული და ვიზიტის გარდა უნდა შეფასდეს დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და როდესაც, ამბობენ, რომ შესაბამის დოკუმენტებზე დაყრდნობით შეაფასეს, დაწესებულების მხრიდან ჩაკითხვისას აღმოჩნდა, რომ ინტერვიუების შედეგად სესიებზე დამსწრე პირებისთვის ბევრი საკითხი ბუნდოვანი იყო. ერთ-ერთი სტუდენტი, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფი საუბრობს, რომ დებულების ნაწილი არ იცოდა, ეს არის სტუდენტი, რომელსაც წლების განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა სტატუსი, ახლახანს აღიდგინა სტატუსი და შესაბამისად, მისთვისაც არსებობს საკონსულტაციო საბჭო, მაგრამ შესაძლებელია ითქვას, რომ ყველა სტუდენტთან მიმართებით მექანიზმები არსებობს და ვინ როგორ იგებს ეს სხვა საკითხია, რადგან აღნიშნული საკითხი უნდა შეფასდეს არამარტო ერთი ინტერვიუს შედეგით, არამედ შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით.ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას აქვს ხარისხის მექანიზმები,რის შემდეგაც გამოთქმული მოსაზრება გაუგებარია დაწესებულებისთვის. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, რომ ჯგუფი ვალდებული იყო სხვანაირი ფორმულირებებით გაეწერა რეკომენდაციები. კვლევითი პროექტების შესახებ განაცხადა, რომ სტუდენტი, რომელიც იყო ინტერვიუზე დაწესებულება მას გაესაუბრა და მან დაასახელა თავისი პროექტი, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით, რომელსაც აკეთებს თავის ხელმძღვანელთან ერთად, ეს არის მომიჯნავე პროგრამიდან წამოსული ადამიანი, პროგრამაზე თუ იყო საუბარი, აქედან გამომდინარე გაუგებარია სრულიად სტუდენტებზე დაყრდნობა. თვითშეფასების დოკუმენტის შესახებ განმარტა, რომ მას არ უთქვამს, რომ ეს არ არის ადმინისტრაციული წარმოების შემადგენელი ერთ-ერთი სამართლებრივი დოკუმენტი, მან განაცხადა, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული წარმოების დროს ნებისმიერი ზოგადი ქმედება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლია და გულისხმობს, რომ უნდა ეფუძნებოდეს კანონს ან კანონქვემდებარე აქტს, ანუ როდესაც დაწესებულება თვითშეფასების დოკუმენტს ავსებს, რა თქმა უნდა თვითშეფასების დოკუმენტი დამტკიცებული უნდა იყოს რაღაც ფორმით, მან განმარტა, რომ საბოლოო ჯამში საბჭო თვითშეფასების დოკუმენტს კი არ აფასებს, არამედ აფასებს პროგრამას, რომელიც აბსოლუტურად სხვა რამეა. სტანდარტებით, რომლებითაც ფასდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ და რომლებითაც უნდა გამოვიდეს რეკომენდაციები, სტანდარტის შესაბამისად ხდება პროგრამის და არა თვითშეფასების დოკუმენტის შეფასება. თვითშეფასების დოკუმენტი არის განაცხადი, რომელიც დაწესებულების შეფასების დოკუმენტია, მაგრამ პირდაპირპროპორციულად პროგრამასთან მიმართებით მისი შეფასება არ ხდება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია თუ რას გულისხმობს ექსპერტთა ჯგუფი, რადგან პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამასთან, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს გაეკეთებინათ შესაბამისი განმარტება თუ რა იყო შეუსაბამო და რა იყო აცდენაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, სურვილის შემთხვევაში გაეკეთებინათ კომენტარი რეკომენდაციების შესახებ, რადგან საბჭო სვამს კითხვებს და არა პასუხობს მათ.

ექსპერტი, მაკა ჯავახიამ, განაცხადა, რომ ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელი, სამად ხარსარმაღამი, დაეთანხმა ექსპერტს, რომ დაამატებდა ტექნოლოგიური მიმართულებით

საგნებს, და მისთვის გაუგებარია, თუ რატომ გამოხატავს სხდომაზე გაკვირვებას. მიზანში წერია, რომ „გაიგონ ახალი მედიკამენტების შექმნის და ფერმენტების მიზნობრივი ქცევის ინჟინერიის ტექნოლოგიური პასუხისმგებლობა“, მისთვის ბუნდოვანია, როგორ მოხდება აღნიშნულის მიღწევა სთხოვა განემარტა, რადგან ვიზიტზე დაეთანხმა, რომ შეცვლიდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, განაცხადა, რომ ექსპერტმა წაიკითხა ბოლო ნაწილი, სადაც წერია: „დახელოვნება სინთეზურ ორგანულ ქიმიაში, ბუნებრივ პროდუქტებში, წამლის დიზაინში, მოლეკულურ მეტაბოლიზმში, ქიმიურ ტექნოლოგიაში“ და შემდეგ მოდის მექანიზმები.
ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, სთხოვა გაეცა უშუალო პასუხი ტექნოლოგიების კუთხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, განაცხადა, რომ ფარმაცევტულ ტექნოლოგიას გადიან ბაკალავრები, ამასთანავე გადიან პრაქტიკულ და თეორიულ კურსს, მათ აქვთ პრაქტიკა ფარმაცევტულ საწარმოში, არიან დახელოვნებულნი ფარმაცევტულ ტექნიკაში, აქვთ პრაქტიკული კურსი, გადიან ლაბორატორიას.
ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, დასძინა, რომ სამაგისტრო საფეხურიც ეყრდნობა ბაკალავრიატში გავლილ ცოდნას და სადოქტორო საფეხურიც ეყრდნობა ბაკალავრიატში გავლილ ცოდნას
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელს არ უთქვამს აღნიშნული.
ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა თუ სად ითვისებს ტექნოლოგიას დოქტორანტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, განაცხადა, რომ ფარმაცევტული ქიმიის პროგრამა, საგანი არის ქიმია და ქიმიური ბიოლოგია და ბიოლოგიური ქიმია, ეს არის საგანი ქიმია და მისი ფარმაცევტული ნაწილია წარმოდგენილი.
ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, დასძინა, რომ ამ შემთხვევაში მიზნებში არ უნდა ეწეროთ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არჩილ ჯანგირაშვილი, დაინტერესდა საუბარი იყო თუ არა ერთი სიტყვის პრობლემაზე.
ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, განმარტა, რომ ეს იყო მთელი მეცნიერება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ ვიზიტზე ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს შემდეგ გაესაუბრა თავის კოლეგებს, მათთან დააზუსტა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება აღნიშნული სასწავლო კურსი და მისი მოსაზრებით არ არის საჭირო კიდევ ისწავლებოდეს მაგისტრატურა/დოქტორანტურის სასწავლო კურსებზე, რადგან სხვა საგნები არის, რომელიც ისწავლება და ნაწილობრივ ფარავს ამ საკითხებს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განახადა, რომ კვალიფიკაცია „ფარმაციის დოქტორი“, არ ნიშნავს, რომ ზოგადად ყველა ფარმაცია უნდა მოიცვას, რადგან კვალიფიკაცია შესაძლებელია დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმითა და იმ შესაძლებლობებით რა მიმართულებასაც იღებს პროგრამა. მისი მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნამდვილად დაადასტურა, რომ ძირითადად ინტერვიუების შესაბამისად დაიწერა დასკვნა. დაწესებულება აღიარებს, რომ აღმოჩენილია ტექნიკური ხარვეზები, 180 კრედიტთან მიმართებით, გამოგზავნილ დოკუმენტაციაში ეწერა 180 კრედიტი, მაგრამ არავინ არის დაზღვეული შეცდომებისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როგორ უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი მის მართვას, პროცესებს, იმყოფება თუ არა ადგილზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ 2019 წლის შემდეგ ცხოვრობს საქართველოში, ჩვეულებრივად ატარებს ლექციებს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დასძინა, რომ დაწესებულებაში აყალიბებს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, თუმცა ამჟამად

იმყოფება კონფერენციაზე, ასევე, პროგრამის განვითარების საბჭოში ერთ-ერთი წამყვანი პირი იყო, როგორც პროგრამის ხელმძღვანელია და ადგილზე იყო და კომუნიკაცია ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა პოზიციას იკავებს პროგრამის ხელმძღვანელი დაწესებულებაში.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, დასძინა, რომ ზოგადად საქართველოში ცხოვრობს სხდომის პროცესში კი იმყოფება საერთაშორისო კონფერენციაზე.
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ქიმიის პროფესორია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლაში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დასძინა, რომ ამასთანავე Scopus-ის ბაზაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალ ციტირებადი პერსონაა.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, განაცხადა, რომ ლილი არაბულმა სამაგისტრო პროგრამისა და სადოქტორო პროგრამის განხილვისას ახსენა, რომ ბაკალავრიატში ისწავლება, დაინტერესდა თუ რომელი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა იგულისხმებოდა, მათი უნივერსიტეტის თუ სხვა უნივერსიტეტის, რადგან სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარება ნებისმიერი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს შეუძლია. როგორც მოისმინა, გაჟღერდა, რომ კვლევითი კომპონენტი იწყება პირველივე დღიდან, ანუ სადისერტაციო ნაშრომზე სტუდენტი მუშაობს პირველივე დღიდან, დაინტერესდა თუ როდის ხდება სამეცნიერო კომპონენტის შემოტანა პროგრამაში, როგორ ხდება სადისერტაციო ნაშრომის თემისა და სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის დამტკიცება. ასევე დაინტერესდა ნაშრომის დაცვის მომენტში რა წინაპირობებია საჭირო, რომ დოქტორანტს მიეცეს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გავლის უფლება.
უნივერსიტეტის პრორექტორის, სოსო გოგილიძის, განცხადებით, როდესაც პროგრამის ხელმძღვანელი გადაწყვეტს, რომ მას ესაჭიროება დოქტორანტი, წარმოადგენს სამ წლიან კვლევით პროექტს, როგორც წარედგინება საგრანტო პროექტი, გაწერილი აქვს გეგმა, თემის აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგები და ა.შ. კვლევითი პროექტი ეგზავნება სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, თუ არის შიდა რესურსი, იწვევენ იმ პროფესორებს ექსპერტებად, თუ არა, გარე რესურსით ხდება პროექტის შეფასება, თუ იქნება დადებითი შეფასება ექსპერტებისგან.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, განაცხადა, რომ ყურადღებით მოუსმინა და სწორედ ამიტომ გაუჩნდა აღნიშნული კითხვა. იგი დაინტერესდა როდის ხდება დოქტორანტის ჩართვა კვლევით პროექტში.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ ამის შემდეგ ხდება გამოქვეყნება, საჯაროდ, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტი აცხადებს კონკურს ამ თემაზე და მსურველებს შეუძლიათ წარადგინონ საბუთები.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დააზუსტა კითხვა, რომ აინტერესებდა რომელი სემესტრიდან ხდება დოქტორანტის ჩართვა კვლევით პროექტში.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ მიღება არის მანამდე სანამ სტუდენტი შემოიტანს განაცხადს. დოქტორანტმა გაიარა კონკურსი, ჩაირიცხა, ამ დროს უკვე შექმნილია საკონსულტაციო საბჭო, ინიშნება საკონსულტაციო საბჭოს პირველი შეხვედრა, საბჭოს პირველ შეხვედრამდე, ხვდებიან დოქტორანტი და ხელმძღვანელი, ისინი აკეთებენ მონახაზს თუ რა უნდა გააკეთონ პირველ სემესტრში, ამას აცნობენ საკონსულტაციო საბჭოს და თუ მათ აქვთ ისეთი გეგმა წარმოდგენილი, რომ თუ ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, პირველივე დღიდან 60 კრედიტის საგნები კი არ ააღებინოს, არამედ ლიტერატურა დაამუშავოს, რამე კონკრეტული შეისწავლოს და ა.შ., ეს ნიშნავს, რომ ამას დაამტკიცებს საკონსულტაციო საბჭო. პირველ სხდომაზე ხდება ცნობილი თუ რა სტრატეგია აირჩიეს და როგორ იწყებენ საქმიანობას.
საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა კითხვა დაშვების წინაპირობის შესახებ.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობა გაწერილია სადოქტორო დებულებაში და მოიცავს შემდეგს: გამოქვეყნებული უნდა იყოს ორი სტატია, საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენება გაკეთებული უნდა ჰქონდეს დოქტორანტს და არა მის ხელმძღვანელს, ამის შემდეგ ინიშნება შიდა დაცვა, რომელზეც წყდება არის თუ არა ნაშრომი იმ დონეზე, რომ დაიწყონ გარე ექსპერტების მოძიება და მათთვის გადაგზავნა, თუ წარმატებით გაიარა შიდა დაცვა ეგზავნება გარე ექსპერტს, თუ არ გაიარა ეძლევა შესაბამისი რეკომენდაციები და გადავადდება დაცვის თარიღი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აქვს თუ არა დაწესებულებას თავისი სამეცნიერო ჟურნალი.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განმარტა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებას ჟურნალი არ აქვს, თუმცა სადოქტორო დებულებაში დაწესებულებას არ აქვს გაწერილი თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს პუბლიკაცია, რადგან დაწესებულების ნომერ პირველი პროგრამა არის სამართალი, თუ იქ დადებენ მაღალ თამასას ბევრ იურისტს გაუჭირდება სადოქტორო დისერტაციის დაცვა, რადგან საერთაშორისო ჟურნალებში ისეთი სტატიის დაწერა, რომელიც დაწესებულებისთვის ძალიან გამოსადეგია არ გამოვა, ამიტომ აქვთ სტრატეგია შემუშავებული, რომ სადოქტორო დებულებაში წერია, რომ აუცილებლად უნდა იყოს რეფერირებადი ჟურნალი და საერთაშორისო უნდა იყოს, ხოლო პროგრამების მიხედვით ხდება დაზუსტება თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პუბლიკაცია, თანაავტორობაში კეთდება თუ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად გამოაქვეყნებს დოქტორანტი სტატიას, ავტომატურად ითვლება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი არაბულმა, განაცხადა, რომ მის მიერ ნათქვამი, საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით ეხება შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, HR-თან დაკავშირებით განაცხადა, რომ გადახედა პერსონალის ნაწილს, ერთ-ერთი უცხოელი ლექტორი, რომელიც ჩართულია აქტიურად სასწავლო კომპონენტში, სავალდებულო კურსებშიც, ინგლისური ენის დონედ უწერია Intermediate, რაც შეესაბამება B1 დონეს, დაინტერესდა თუ რამდენად საკმარისია ინგლისური ენის B1 დონე სადოქტორო პროგრამაზე, თუ ტექნიკური ხარვეზია და არ დევს დიპლომები.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ საუბარი იყო ერთ ადამიანზე, რომელიც ასისტირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელს.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დასძინა, რომ ჩართულია 2 სასწავლო კურსში, ამასთანავე, წარმოდგენილია ორ გვერდიანი, რეზიუმე დიპლომების გარეშე.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ ის არ არის ჩართული სასწავლო პროცესში, არის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი და უძღვება ლაბორატორიას, მაგრამ არ ასწავლის.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ წარმოდგენილია პერსონალის ფოლდერში ჩამონათვალში.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ აღნიშნული პიროვნება არის მისი პირველი სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, საქართველოში, როდესაც ჩააბარებს პროგრამაზე მაშინ შეეძლება გაუძღვეს ლაბორატორიებსა და სემინარებს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დასძინა, რომ მისი მოსაზრებით, პერსონალში განსაზღვრულია, რადგან მოიაზრება ლაბორატორიის დამხმარედ.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ მას კარგად შეუძლია საუბარი ინგლისურად, შესაძლებელია იყოს ძველი CV.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, დაინტერესდა, თუ როგორ შეიძლება ჩაერთოს B1 დონით, სემინარისა და ასისტირების ნაწილში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული პიროვნება არ ასწავლის, არავის არ უტარებს ლექციებს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა არის თუ არა აღნიშნული პიროვნება სტუდენტი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ ჯერ არ არის, თუმცა მალე უნდა გახდეს.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ, განაცხადა, რომ სტუდენტისთვის უცხოენის მინიმალური B2 დონეა.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ ასეთი ადამიანი არ უნდა ეწეროთ პერსონალის ჩამონათვალში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით დოკუმენტაციის გაგზავნის პროცესში შესაძლებელია ბევრი რამე ერთმანეთში ირეოდეს, საბჭო იმართება იმიტომ, რომ მაქსიმალურად გაიფანტოს ბუნდოვანება. პიროვნება არის ჩამონათვალში, მაგრამ არ არის რომელიმე კომპონენტის განმახორციელებელი პირი, ამასთანავე მომავალი დოქტორანტია, წარმოდგენილია ძველი CV, ამ ეტაპზე ბევრად უკეთესი კომპეტენცია გააჩნია, რომელსაც დაადასტურებს. მას მოუწევს B2 დონის ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება, რათა მიიღონ სადოქტორო პროგრამაზე. ეს ადამიანი ეხმარება პროგრამის ხელმძღვანელს, რადგან კომუნიკაციის დონეზე კარგად ესმის ლაბორატორიული საკითხები და ამ ნაწილში ჰყავს, როგორც ერთ-ერთი დამხმარე პირი.
საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე, დაინტერესდა არის თუ არა დოქტორანტისთვის დაცვაზე დაშვების წინაპირობა ორი პუბლიკაცია, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტულად ამ პროგრამისთვის იქნება საერთაშორისო, Impact ფაქტორი მოითხოვება თუ ა.შ., მხოლოდ რეფერირებად ჟურნალებში უნდა იყოს გამოქვეყნებული.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა რთულია ამის შესრულება მითითების შემთხვევაში.
საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის, განაცხადა რომ ფარმაციის მიმართულებით ძალიან ბევრი საერთაშორისო ჟურნალი არსებობს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას დაკონკრეტებული არ აქვს დებულების დონეზე, თუმცა პროგრამის დონეზე დაკონკრეტებულია, „გააკეთოს მინიმუმ ერთი საკონფერენციო მოსმენა ზეპირი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში“.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, დააკონკრეტა, რომ მისი კითხვა ეხებოდა პუბლიკაციებს, აქვთ თუ არა განსახილველ პროგრამაზე რაიმე კონკრეტული დათქმა, საერთაშორისო ჟურნალებთან და Impact ფაქტორთან დაკავშირებული ჟურნალი უნდა იყოს თუ არა სადაც დოქტორანტი სტატიას გამოაქვეყნებს, რადგან ფარმაციას ძალიან დიდი ასპარეზი აქვს საერთაშორისო კუთხით. მან მოისმინა ასეთი დასაბუთება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, მაგრამ მის გარდა იქნება თუ არა სხვა პროგრამის ხელმძღვანელი.
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორმა, კახაბერ თავზარაშვილმა, განცხადა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს საბჭოს წევრის რეკომენდაციას და დააზუსტებენ შემდეგნაირად; „გამოაქვეყნოს კვლევის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალში, მათ შორის ერთი მაინც Web Of Science-ში ინდექსირებულ დადებით Impact ფაქტორის მქონე ჟურნალში“, ასევე მოითხოვენ ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე ზეპირ მოხსენებას, ამას დააზუსტებენ პროგრამის დეტალებში.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განაცხადა, რომ შესაძლებელია საერთაშორისო კონფერენციაზე ვერ მოხერხდეს გამგზავრება, მაგრამ პუბლიკაცია კარგი იქნებოდა.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა, განაცხადა, რომ სილაბუსის შესავალში ეწერა „მაგისტრატურა“, რაც მისი მოსაზრებით ტექნიკური ხარვეზი იყო, მაგრამ შემდეგ მოდის „შპს საქართველოს უნივერსიტეტი 2021 წელი“, რის მიხედვითაც მან ჩათვალა, რომ სილაბუსი შედგენილი იყო 2021 წელს, საუბარია „ფარმაცევტული ქიმიის უმაღლეს კურსზე“, მან

განმარტა, რომ არ არის დარგის სპეციალისტი, მაგრამ მიზნებში არის შემდეგი ფრაზა „კურსი შექმნილია სამედიცინო ქიმიის უახლესი მიღწევების შესახებ ცოდნის გადასაცემად“, მითითებულ ლიტერატურაში არის 2009 წლის სახელმძღვანელო, შესაბამისად, დაინტერესდა არის თუ არა აღნიშნული საკითხი მიღებული.

პროგრამის ხელმძღვანელის, სამად ხარსარმაღამის, განცხადებით, მნიშვნელობა არ აქვს რამდენი წლის წინ არის გამოქვეყნებული სახელმძღვანელო, ის შეიცავს ზოგად ცოდნას და მიუხედავად იმისა, რომ 30-40 წლის წინ გამოქვეყნდა ისწავლება მთელ მსოფლიოში, ამასთანავე აუცილებელია ლექტორმა მოახდინოს განახლება თავისი პროგრამის და სტუდენტს მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია, მაგრამ წიგნი შეიძლება იყოს დიდიხნის წინ გამოქვეყნებული, ამასთანავე არის საკითხები, რომლებიც არ იცვლება და შესაბამისი სახელმძღვანელო კარგად უზრუნველყოფს ზოგადი ცოდნის მიწოდებას. ასევე, იყენებენ ახალ გამოცემებს, აღნიშნულ სახელმძღვანელოს აქვს რამდენიმე გამოცემა, მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებულია 2009 წელს და რა თქმა უნდა იყენებენ ახალ გამოცემას, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა. ამასთანავე, პროგრამის ხელმძღვანელს ძალიან ბევრ კონფერენციაში აქვს მონაწილეობა მიღებული, სადაც ხდება პროგრამის განახლება, მაგრამ ყოველთვის ეყრდნობა ძველ პროგრამას.

საბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე, დაინტერესდა აკადემიური პერსონალის დარგში მიღწევებთან/პუბლიკაციებთან დაკავშირებით, რადგან თავად ფარმაცევტული ქიმია არის დარგი, რომელიც მუდმივად ვითარდება, მუდმივად აქვს ახალი გამოწვევები, ამიტომ მნიშვნელოვანია პერსონალმა თვალი გაუსწოროს ამ გამოწვევებს, მისი თქმით, CV-ები არ ასახავს პროგრამაში ჩართული პერსონალის აქტივობას 2015-2018 წლის შემდეგ. დაინტერესდა დაწესებულების არგუმენტაციით პერსონალის აქტივობისა და დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილის დასადასტურებლად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ ის პირი, რომელმაც კვლევაზე უნდა აიყვანოს დოქტორანტი არის პროგრამის ხელმძღვანელი, სამად ხარსარმაღამი და ლილი არაბული, ისინი აქტიური მეცნიერები არიან და მათ უნდა აიყვანონ დოქტორანტები.

საბჭოს წევრის, გურანდა ჭელიძის, განმარტებით, მას არ უთქვამს, რომ პერსონალს არ ჰქონდა პუბლიკაციები, მან განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნება დოკუმენტაციაში არ ჩანს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ მა აქვს პასუხისმგებლობა მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდოს საბჭოს. მან განაცხადა, რომ ადამიანები, ვინც უშუალოდ კვლევითი კომპონენტი უნდა განახორციელონ, მათ შორის აიყვანონ დოქტორანტი და ა.შ., მათ აქვთ ახალი პუბლიკაციები. მისი მოსაზრებით, აღნიშნული კითხვა გამომდინარეობს წინა პროგრამის განხილვიდან, დაწესებულების წარმომადგენლებმა მოიძიეს ინფორმაცია, ვიზეც იყო საუბარი, Google Scholar-ში 2021 წელს აქვს გამოქვეყნებული.

უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსმა, ირაკლი ნოსელიძემ, დასძინა, რომ საუბარი იყო მარინა შავლაყაძეზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, აღნიშნა, რომ დანარჩენებთან დაკავშირებით გადაამოწმეს და ისინი კვლევით პროექტებში არიან ჩართულნი, კვლევით პროექტში ჩართულობა ასევე გულისხმობს სამეცნიერო აქტივობას და ის, რომ CV-ში არ ჩანს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, თუმცა საბჭოს აწვდიდა რეალურ ინფორმაციას. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს 2022 წელს ხუთი სტატია ჰქონდა გამოქვეყნებული, ასევე ლილი არაბულს, რომელსაც 2021-2022 წლებში აქვს გამოქვეყნებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ ყველა სილაბუსს აწერია პროგრამის ხელმძღვანელი, სამად ხარსარმაღამი, და კურატორი, დაინტერესდა არის თუ არა ყველა სილაბუსის ავტორი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დაადასტურა, რომ ყველა სილაბუსის ავტორია.
საბჭოს წევრი, ეკატერინე შაკიაშვილი, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით რამდენად გამჭვირვალედ მიაჩნიათ შეფასების სისტემა და შემდეგ სურდა პროგრამის ხელმძღვანელი, სამად ხარსარმაღამის ესაუბრა შეფასების სისტემის შესახებ.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში, იმის მიხედვით თუ ვინ იქნება პროგრამის ხელმძღვანელი, რა კვლევითი თემა იქნება გამოცხადებული, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მართალია ერთი კვალიფიკაცია ენიჭება, მაგრამ, რაც შეეხება კვლევის თემას - განსხვავებულია, იმის მიხედვით, თუ რომელი პროფესორი გამოაცხადებს თემას, შესაძლებელია შეიცვალოს საგანთა ჩამონათვალიც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, დააზუსტა შემდეგ სილაბუსები შეიძლება შეიცვალოს თუ ავტორები.
უნივერსიტეტის პრორექტორმა, სოსო გოგილიძემ, განცხადა, რომ შესაძლებელია შეიცვალოს სილაბუსები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ, როგორც ექსპერტთა ჯგუფს უთხრა პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ თვითონ იქნება, როგორც ირანის, ისე საქართველოს წარმომადგენელი. ქართული და ირანული სილაბუსების 80% ემთხვევა ერთმანეთს, რადგან სტუდენტების უმეტესობა ყავთ ირანიდან, ირანში კი სილაბუსები იქმნება ამერიკულ პროგრამაზე დაყრდნობით, მაგრამ მათ შორის ბევრი დამთხვევაა. აღნიშნული პროგრამა პოპულარულია არა მარტო მის ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში, მისთვის ძალიან მნიშნველოვანია პროგრამის ხარისხი, როდესაც აღნიშნული პროგრამა შემუშავდა პროგრამის ხელმძღვანელი გაესაუბრა ინდოეთის უნივერსიტეტის და არა მხოლოდ ინდოეთის, მსოფლიოს ძალიან ბევრ უნივერსიტეტს, სწორედ ამის შემდეგ დაიწერა სილაბუსი, გადმოეგზავნა შპს საქართველოს უნივერსიტეტს, სადაც ორ წელიწად ნახევარი გრძელდებოდა მისი განხილვა და მას შემდეგ, რაც აქ დაამტკიცეს აღნიშნული პროგრამა, ისევ გაიგზავნა უკან და გადახედეს სხვა კოლეგებმა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განმარტა, რომ მისი კითხვა გულისხმობდა სტუდენტის შეფასების სისტემას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ ეს არ არის პირველი პროგრამა, რომელიც შპს საქართველოს უნივერსიტეტში ხორციელდება და რაც შეეხება შეფასების სისტემას, რეგულაციები არის ერთიდაიგივე.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დასძინა, რომ კოლოქვიუმებთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომაა, შეფასების სისტემა დამოკიდებულია თვითონ კომპონენტის შეფასებაზე, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა, რომ მაქსიმალურად იყოს გამოტანილი შეფასების კრიტერიუმები, ერთადერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ რელევანტური/შესაბამისი იყოს დარგის მოთხოვნებთან. კოლოქვიუმი რა აქტივობასაც გულისხმობს ჩამოწერილია მთლიანი აღწერილობა, რაშიც მოხდება სტუდენტი, დაეწერება შესაბამისი ქულა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე შაკიაშვილი, დაინტერესდა თუ რაში დაეწერება სტუდენტს, მაგ., 25 ქულა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ გაწერილი უნდა ჰქონდეს გვერდით თუ რა შემთხვევაში დაიწერება. წარმოდგენილია პროცენტები და მის გვერდით ფორმულირებულია რა შემთხვევაში შეიძლება დაიწეროს და ა.შ. მაგ., 75% იწერება იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს აქვს თეორიული ცოდნა, მაგრამ პრაქტიკაში აქვს რაღაც პრობლემა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ წარმოდგენილ არცერთ სილაბუსში არ იყო მითითებული, თუმცა არც დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებული იყო ბოლომდე გამჭვირვალე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, სამად ხარსარმაღამიმ, განაცხადა, რომ ორ უნივერსიტეტს გაუგზავნა თავისი პროგრამა, შემდეგ დუბლინის უნივერსიტეტი, რომელიც ნოემბერში ჩამოვა შპს საქართველოს უნივერსიტეტში გამართავს შეხვედრას, ასევე ერთ კვირაში აქვს მიწვევა, სადაც ასევე განიხილავს აღნიშნულ პროგრამას.
ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, განაცხადა, რომ გაცემულია რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს რეკომენდაციები. მისი განცხადებით, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, სტუდენტები მოიზიდებიან ირანიდან, შესაბამისად ლილი არაბულის მიერ ნათქვამი, რომ სტუდენტებს სასწავლო კურსები გავლილი აქვთ ბაკალავრიატში, დაინტერესდა თუ როგორ უნდა გაეგოთ აღნიშნული.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ ეს იყო სუბიექტური მიდგომა და ძალიან სამწუხარო იყო ექსპერტის მხრიდან მსგავსი კომენტარი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:08
დასრულების დრო: 20:01

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავმჯდომარემ, საკითხის ზეპირ მოსმენაზე გაცხადებული ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, კენჭისყრაზე დააყენა დამატებითი ექსპერტის მოწვევისა და შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით, საკითხის შესწავლაში დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო და აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მერვე პუნქტის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამის შეფასებაში ჩართულიყო დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტები, საბჭოს სხდომის ზეპირ მოსმენაზე სათათბირო ხმის უფლებით

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:
საბჭოს თავმჯდომარემ, საკითხის ზეპირ მოსმენაზე გაცხადებული ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, კენჭისყრაზე დააყენა დამატებითი ექსპერტის მოწვევისა და შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით, საკითხის შესწავლაში დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ქიმიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო და აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მერვე პუნქტის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამის შეფასებაში ჩართულიყო დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტები, საბჭოს სხდომის ზეპირ მოსმენაზე სათათბირო ხმის უფლებით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.12.2019 გადაწყვეტილება №253
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი; სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა.
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განაცხადა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს, 4 წლის ვადით, ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 6 თვე. დაწესებულებამ ვადის დაცვით წარმოადგინა ანგარიში, რომელიც შეისწავლა აკრედიტაციის ექსპერტმა, რომელიც განიხილეს აკრედიტაციის საბჭოზე. საბჭომ მოისმინა უნივერსიტეტის ანგარიში და ექსპერტის დასკვნა, აკრედიტაციის დებულების 27 მუხლის მე-2 პუნქტის, 2 პუნქტის, 3 მუხლის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ მიიღო ცნობად და მიმართა ცენტრს შუამდგომლობით საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგი განხორციელების შემდეგ, 2022 წლის 4 თებერვალს აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე. სულ გაცემული იყო 11 რეკომენდაცია და 4 რჩევა. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა პროგრამა, სწორედ ამ რეკომენდაციების შესაბამისად, რადგან მათი ამოცანა იყო დაედგინათ რეკომენდაციების შესრულების გარემოება. გაეცნენ პროგრამას სრულად, მათ შორის დაწესებულების ახალ ანგარიშებს და გასცეს რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა პროგრამის განვითარებას, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში გარკვეული კომპონენტების დაკონკრეტებას, საერთაშორისო რეფერირებად ბაზებში Scopus, Web Of Science და სხვა გამოქვეყნებას და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე. ხოლო, თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე. ამასთან, რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში;
2. კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამიდან ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც საერთაშორისო რეფერირებად

ჟურნალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ჩართულ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS);

3. რეკომენდებულია, სერტიფიკატის წარმოდგენის გარდა, უნივერსიტეტმა შესთავაზოს აპლიკანტს ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გათვალისწინებული იყოს ახალ სადოქტორო პროგრამაში;

4. სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ სასწავლო რესურსს და არა საბიბლიოთეკო საცავების ბმულებს;

5. გარე შეფასების რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია გაუმჯობესების გზების დასახვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება დროითი განაწილებით და ჩართული პერსონალის/საუნივერსიტეტო ორგანოების განსაზღვრა;

6. დისკუსიაზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, საჭიროა შიდა შეთანხმების მიღწევა იმაზე, თუ რომელი რეკომენდაცია რა ფორმით და მოცულობით უნდა იყოს გათვალისწინებული და როგორ განხორციელდეს. ვინაიდან რეკომენდაციების ნაწილი მოცემული პუნქტების გაუმჯობესებისთვის საკმაოდ დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს, საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება, კონკრეტულ პუნქტზე მომუშავე პერსონალის განაწილება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა საერთო საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო დონეზე;

7. რეკომენდებულია, გარე ხარისხის ნაწილში გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყოს ახალი პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების დროს.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ პროგრამას უწევს კლასტერული აკრედიტაცია, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნას ახალ პროგრამაში. დაწესებულება განახლების დროს თუ გაითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციებს ეს მნიშვნელოვანი იქნება ახალი პროგრამების განვითარებისათვის, რომლებსაც დაწესებულება წარმოადგენს რამდენიმე თვეში, კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განემარტა მიმდინარე და ახალ პროგრამას შორის კავშირი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია მიღებული აქვს 2019 წლიდან ოთხი წლის ვადით, ამასთანავე დაწესებულებამ უკვე უნდა წარმოადგინოს პროგრამა რეაკრედიტაციისათვის, რადგან უწევს კლასტერული აკრედიტაცია. ამიტომ ექსპერტების მოსაზრებით მნიშვნელოვანია რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნას რეაკრედიტაციის დროს წარმოდგენილ პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა განსახილველ პროგრამაში უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განმარტა, რომ განსახილველი პროგრამა აღარ იმუშავებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მუშაობდა თუ არა პროგრამა ამ ეტაპზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე პროგრამა მუშაობს.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა, თუ რომელი გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონიტორინგის განხორციელება. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ესაუბრათ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ, რადგან შეიტანეს ცვლილება დებულებაში და ერთ-ერთ კომპონენტად ნახსენებია, რომ სავალდებულოა კონფერენციებში მონაწილეობა, რაც იგულისხმება, როგორც ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი კომპონენტი და დაინტერესდა შეუძლია თუ არ დოქტორანტს დისერტაციის დაცვა სტატიის გამოქვეყნების გარეშე, მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, კონფერენციებში მონაწილეობით. მისი

თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა კურსების წინაპირობებს, ვინაიდან მან ვერ შეძლო სასწავლო გეგმის ნახვა, დაინტერესდა თუ მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება, რა მდგომარეობაა ამ მომენტში, რა კურსებში აისახა წინაპირობა და აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება. ელექტრონული სამეცნიერო რესურსების გამოყენებაში აკადემიური პერსონალის ჩართვის შესახებ დაინტერესდა თუ როგორია მდგომარეობა ამ თვალსაზრისით. მან დოკუმენტებში ვერ მიაგნო სასწავლო გეგმას, შესაბამისად მისთვის უცნობია სავალდებულო სასწავლო კურსები, მაგრამ 2019 წლის გადაწყვეტილებაში ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური წერისა და კვლევის უნარების განვითარების ასახვას რომელიმე სასწავლო კურსში, დაინტერესდა აისახა თუ არა აკადემიური წერის ან კვლევის უნარების განვითარების ელემენტები რომელიმე სასწავლო კურსში და თუ აისახა რომელში. მისთვის გასაგებია, რომ დაწესებულება ემზადება კლასტერული აკრედიტაციისათვის და დაინტერესდა თუ როგორ ხდება კლასტერული აკრედიტაციის მომზადება კონკრეტულად ამ პროგრამაზე, რადგან რეკომენდაცია ეხება გარე ხარისხის ნაწილში გამოთქმული რეკომენდაციების დაკმაყოფილებას, დააზუსტა ხდება თუ არა ამ რეკომენდაციების გათვალისწინება დაწესბულების მიერ და მათგან რომელი გაითვალისწინებს და რომელი არა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო 2022 წლის 4 თებერვლის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც დაწესებბულებას განესაზღვრა 6 თვიანი ვადა ანგარიშის წარმოსადგენად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი იცნობდა ძველ დოკუმენტაციასაც. 2019 წელს, როდესაც პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც არის აღმოსავლეთმცოდნე, ფლობდა რუსულ, ქართულ და სხვა აღმოსავლურ და ევროპულ ენებსაც, ამიტომ ის უნივერსალური მკვლევარი იყო ამ მიმართულებით, სწორედ მისი კომპეტენციების ფარგლებში ჩამოყალიბდა რამდენიმე რეკომენდაცია. დაწესებულებამ ბევრი ცვლილება განახორციელა პროგრამის სასარგებლოდ, ბევრი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი შეიქმნა, რაც დადებითად ასახა პროგრამის განხორციელებაზე, დაწესებულებამ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს თავისი ხედვაც გააცნო.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამაში და დოქტორანტურის დებულებაში აღნიშნულია, რომ სავალდებულო დისციპლინებია კვლევის მეთოდები, სწავლების მეთოდები და პროფესორის ასისტენტობა, თუმცა ვერცერთი სილაბუსი ვერ ნახა და ვინაიდან ვერც სასწავლო გეგმა მოიძია სთხოვა დაეზუსტებინათ ეს საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებია თუ ყველა პროგრამისთვის ინდივიდუალურად იწერება და რა რაოდენობის კრედიტებით არის წარმოდგენილი პროგრამაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული იყო 2019 წელს გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ შეასრულა. მისი მოსაზრებით სილაბუსი წარმოდგენილი არ არის, რადგან აღნიშნულთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია უკვე შესრულებული იყო და 2022 წელს აღარ იყო აქტუალური.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, დააზუსტა, თავისი კითხვა, რომ მას აინტერესებდა მოცემული სასწავლო კურსები ინდივიდუალურად პროგრამებისთვის იქმნება თუ ეს არის საუნივერსიტეტო დისციპლინები და ყველა პროგრამისთვის იდენტურია.

„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული დისციპლინები საუნივერსიტეტოა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მონიტორინგის თაობაზე მიღებულ იქნა 2022 წლის 4 თებერვალს, გარკვეული ხარვეზების გამოსასწორებლად დაწესებულებას განესაზღვრა ვადა, მისთვის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია გასაგებია კლასტერული აკრედიტაციასთან დაკავშირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ მონიტორინგის დასკვნაში ორი სტანდარტი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, დაინტერესდა თუ რამდენად მართებულია ამ ფონზე, რეკომენდაციების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების გამართლება, ხომ

არ ქმნის პროგრამის განხორციელებბის რისკს და რამდენად გაითვაისწინებს გაცემულ რეკომენდაციებს დაწესებულება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განაცხადა, რომ, როდესაც უყურებენ პროგრამის განვითარებასა და განხორციელებულ ცვლილებებს ესეც გარკვეულ იმედებს აჩენს, თუმცა იყო გარკვეული საკითხები, რომლებშიც ექსპერტთა ჯგუფს დარჩა კითხვის ნიშნები რაც აისახა დასკვნაში. რეკომენდაცია იყო გაცემული, რომ სილაბუსებში არის მოძველებული ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტური ლიტერატურა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რეკომენდაცია ეხებოდა რომ გამოყენებული ყოფილიყო სამეცნიერო ბაზებში განთავსებული ლიტერატურა, მითუმეტეს, როდესაც დაწესებულებას აქვს ამის შესაძლებლობა. სწორედ ამ რესურსის ათვისებისკენ მოუწოდებდა ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას, სილაბუსებში არის ჩანაწერი, რომ სავალდებულო ლიტერატურასთან ერთად მითითებულია ელექტრონული სამეცნიერო რესურსების ბაზა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მნიშვნელოვანია ბაზაში რა მასალაა ხელმისაწვდომი ამ საგანთან დაკავშირებით და ეს იყოს მითითებული სილაბუსში როგორც ლიტერატურად და არა საიტების მისამართი. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში გაწერა, რომ დოქტორანტმა თავისით უნდა მოიძიოს ლიტერატურა, რათა წახალისდეს, როგორც მკვლევარი, მაგრამ ექსპერტები ფიქრობენ, რომ ცალკეული საგნების სწავლის მიზანი დოქტორანტების სამეცნიერო მუშაობაში გაწვრთნა კი არ არის, არამედ მიზანი არის, რომ იმ კონკრეტული საგნის ფარგლებში გადასცეს ცოდნა, უნარები და სხვა. ის რომ დოქტორანტმა უნდა ისწავლოს მოძიება თავისი ნაშრომის ირგვლივ, სამეცნიერო ბაზების დამუშავება, ეს არის ან სხვა საგნის მიზანი ან ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესი, რაც აისახა რეკომენდაციებში. პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით უნდა გამოკვეთილიყო დაწესებულების წვლილი რიგ საკითხებში, რაც სადოქტორო პროგრამისათვის არის მნიშვნელოვანი, აქტუალური და საჭირო თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე. მათი მოსაზრებით, რადგან პროგრამა უკვე მილევად რეჟიმშია და დოქტორანტები სწავლას გააგრძელებენ ახალი პროგრამით, შემუშავდება გარდამავალი დებულება, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული დოქტორანტების გადაყვანას სხვა პროგრამაზე, ყველაზე მნიშვნელოვანი არის, ის რომ ახალმა პროგრამამ გაითვალისწინოს ეს საკითხები და ახალ პროგრამაში შევიდეს არა, როგორც ცვლილების, არამედ პირველადი მონაცემების სახით.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, განცხადა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა, არაქართულენოვანი დოქტორანტებისთვის ჩატარებულიყო ქართული ენის გამოცდა. ექსპერტთა ჯგუფს აღწერილი აქვს თავის დასკვნაში აღნიშნულის შესახებ, დაწესებულება კი თავის არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტავს, რომ „რეკომენდაცია სრულიად მისაღებია. დაველოდებით სახელმწიფო ენის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, ვინ უნდა გასცეს ქართული ენის სერტიფიკატი და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უმოკლეს ვადაში მიიღებს ოფიციალურ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“. თუმცა პარალელურად პროგრამაში გაწერილია, რომ დოქტორანტს მოეთხოვება B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, დაინტერესდა თუ ჯერ არ არის საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული, რატომ არის აღნიშნულ დებულებაში გაწერილი. მითუმეტეს კანონი არ კრძალავს სხვა უცხო ენის მსგავსად, ქართულ ენაში გამოცდის ჩატარებას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განაცხადა, რომ, როგორც დაწესებულებამ აღნიშნა ეს ახალი რეკომენდაციაა, ვინაიდან კანონიც 2019 წლის შემდგომ შევიდა ძალაში, სწორედ ამიტომ მიაქციეს ყურადღება აღნიშნულ საკითხს. B2 დონის გამოცდის შესახებ, მან განაცხადა, რომ ეწერა 2019 წელს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში, თუმცა არ იყო კანონი, რომ ქართული ენის ფლობის დონეები ყოფილიყო გათვალისწინებული, მაგრამ ახლა, რადგან კანონი შევიდა ძალაში ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ საკითხზე და გასცეს რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას თვითონ

აღნიშნული გამოცდა, დაწესებულებას ჰყავს სტუდენტები, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, რაც ძალიან კარგია, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობა და სწორედ ამას ეფუძნებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, განაცხადა, რომ 2019 წლის დეკემბერში პროგრამამ პირველად მიიღო აკრედიტაცია, სადაც საბჭოს მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რის საფუძველზეც წარადგინეს ანგარიში 6 თვის თავზე, სადაც რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებული იყო, ერთი რეკომენდაციის გარდა, სადაც ნახსენები იყო მეორე სადოქტორო პროგრამა, რომელიც უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ამავე ფაკულტეტზე. რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებული იყო. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო პროგრამის მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით - „მიზანშეწონილია, რომ ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენების ტესტი იდენტიფიცირებული იყოს როგორც სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ე.წ. მეორე ენის ტესტის ჩატარების შემთხვევაში, მიზანშეწონილია რუსული, თურქული, სპარსული და სხვა ენების, როგორც მეორე უცხო ენების განხილვა“ - აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ შეასრულა და 2020 წლის აპრილში აკადემიურ საბჭოზე გაიტანეს განახლებული პროგრამა, განახლებული წინაპირობით, რომელიც დღემდე მოქმედებს, წინაპირობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - „დოქტორანტურის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, არაბული ან სპარსული ენის ცოდნის დადასტურება C1 დონეზე, ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატი“, როდესაც ახსენებენ სერტიფიკატს, გულისხმობენ TOEFL, IELTS და შესაბამისად სხვა ენების, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატებს. თუ დოქტორანტობის კანდიდატი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს რომელიმე ენას, მეორე პირობაა ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის - ინგლისურის, გერმანულის ან ფრანგულის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება, შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტი ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენას, შეუძლია გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში. 2021-2022 სასწავლო წელს 11 აპლიკანტი ღებულობდა მონაწილეობას კონკურსში, 9 მათგანი ჩაირიცხა, რომელთაგან 7-მა ჩააბარა ინგლისური ენა, ერთმა - გერმანული და ერთმა - რუსული, ამ შემთხვევაში აღნიშნული სტუდენტი სწავლობს გერმანული ენის მიმართულებით. დაწესებულებამ ნამდვილად გაითვალისწინა რეკომენდაცია და შესაბამისად ღებულობს სტუდენტებს პროგრამაზე.

„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, მათ გაითვალისწინეს თითქმის ყველა რეკომენდაცია, რამაც პროგრამა გაუმჯობესდა. ინტერნაციონალიზაციის შესახებ განაცხადა, რომ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში არის მუხლი 22.2, რომელშიც გაწერილია: „ინტერნაციონალიზაცია, ანუ სადისერტაციო ნაშრომის საერთაშორისო ხელმისაწვდომობა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, რომელთაგან დოქტორანტმა უნდა შეასრულოს ერთ-ერთი:

- დოქტორანტს ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი;
- დისერტაციის თემაზე აქვეყნებს ნაშრომს უცხოეთში, რეფერირებად/რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემაში;
- დისერტაციის თემაზე აქვეყნებს ნაშრომს საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;

- ხდება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გადაცემული ერთი სტატიის საერთაშორისო რეცენზირება ანონიმი ექსპერტების მიერ;
- მონაწილეობს უცხოეთში გამართულ კონფერენციაში, რომლის მოხსენების მასალები გამოქვეყნებულია ბეჭდური ან ელექტრონული სახით.“

მისი თქმით, დაწესებულებას აქვს სამეცნიერო ჟურნალით „მოამბე“, რომელიც სამეცნიერო ბაზებში არის შეტანილი და წინა წელს მეორე სამეცნიერო ჟურნალი „ქუთაისური საუბრები“ შევიდა იმავე სამეცნიერო ბაზებში. ვერც საერთაშორისო გამოქვეყნების, ვერც კონფერენციაში მონაწილეობის და ვერც ორი უცხოელი ექსპერტის შეფასების გარეშე ვერ დაიცავს დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს. სამეცნიერო კვლევითი ბაზების შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს ძლიან ბევრი სამეცნიერო ბაზა და დოქტორანტს შეუძლია უნივერსიტეტში ყველა ბაზით სარგებლობა. სამეცნიერო ბაზები ძირითადად მითითებულია დამატებით ლიტერატურაში.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ როგორც მოისმინა, იმისათვის, რომ დოქტორანტმა დაიცვას ნაშრომი, უნდა ჰქონდეს რეცენზირება, გამოქვეყნებული სტატია (მათ შორის შესაძლებელია დაწესებულების ჟურნალშიც) და მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული საერთაშორისო კონფერენციაში, დაინტერესდა სწორად გაიგო თუ არა აღნიშნული ინფორმაცია.
„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძე, დასძინა, რომ დასაშვებია ერთი ნაშრომის საზღვარგარეთ გამოქვეყნებაც.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა, არის თუ არა სავალდებულო ამ სამი პირობის დაცვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, დასძინა, რომ აუცილებელია რომელიმე მათგანის შესრულება.
„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ, განმარტა, რომ აუცილებელია ერთ-ერთი მათგანის განხორციელება, ყველა პირობის შესრულება საკმაოდ რთულია.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა, შეუძლია თუ არა დოქტორანტს, მხოლოდ კონფერენციაში მონაწილეობის საფუძველზე დაიცვას სამეცნიერო ნაშრომი.
„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ დისერტაციის დაცვამდე აუცილებელია ნაშრომის (სტატიის) გამოქვეყნება.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, სთხოვა განემარტათ, თუ რა იყო სავალდებულო იმისათვის, რომ დოქტორანტს მიეცეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის უფლება.
„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ მას უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი გამოქვეყნება, აქედან ერთი აუცილებლად უნდა იყოს საზღვარგარეთ გამოქვეყნებული, სავალდებულოა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა. გარე შეფასების შესახებ, განაცხადა, რომ რაც პროგრამამ მუშაობა დაიწყო 2019 წლის შემდეგ, მუდმივად მონიტორინგის რეჟიმშია, სხვა გარე შეფასება პროგრამას არ ჰქონია, ამიტომ დაწესებულებამ წარმოადგინა ის 5 გარე შეფასება, რომელიც გაიარა პროგრამამ აკრედიტაციის მიღებამდე, დაწესებულებამ მიღებული რეკომენდაცირბის უმეტესობა გაიზიარა, ნაწილი კი არა. რეკომენდაციები, რომლებიც მიიღეს წარმოდგენილი იყო იმ თვითშეფასებაში, რომელიც პროგრამასთან ერთად წარმოადგინეს. აკადემიური წერის შესახებ განაცხადა, რომ სასწავლო გეგმაში ჩართეს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერის სტრატეგიები“.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა, იყო თუ არა აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულო.
„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულო არ არის, დაწესებულებას მითითებული აქვს, რომ თუ სამაგისტრო საფეხურზე გავლილი აქვს ამ ტიპის სასწავლო კურსი, შეუძლია აღარ გაიაროს. წინაპირობების შესახებ კი აღნიშნა, რომ ვერ აირჩევს ემპირიულ

საკვლევ ბაზად გერმანულ ენას, თუ არ წარმოადგენს მაგისტრის დიპლომს გერმანულ ფილოლოგიაში ან C1 სერტიფიკატს, ასეთი მიდგომა ვრცელდება ყველა სხვა უცხო ენაზე. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები თვლიან, რომ წინაპირობად კიდევ რომელიმე ენის დათქმა არ არის შესაძლებელი, რადგან, როდესაც საგანს ირჩევს დოქტორანტი ისედაც გარკვეულია, რომ მან ეს ენა იცის, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ მიმართულებაზე ვერ მოხვდებოდა.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა, ტარდება თუ არა ელექტრონული რესურსების გამოყენების ტრენინგი.
„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ ტარდება მსგავსი ტიპის ტრენინგები, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც უკვე წარმოადგინეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განაცხადა, რომ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული რეკომენდაცია ეფუძნება გარემოებას, რომ ინტერნაციონალიზაციის რამდენიმე პუნქტი აქვს პროგრამას, მათ შორის სავალდებულო სამი გამოქვეყნებაა, მაგრამ ერთ-ერთი პუნქტი ინტერნაციონალიზაციის შესრულების არის ნაშრომის რეცენზენტებთან გაგზავნა, ამ შემთხვევაში გაუგებარია, რადგან თუ უცხოეთში უნდა გამოქვეყნდეს ნაშრომი რა შუაშია რეცენზენტი, აქ გამოქვეყნებული ნაშრომი ეგზავნება უცხოელ ექსპერტს რეცენზირებისათვის. საბოლოოდ რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ არა ერთ-ერთი პუნქტი იყოს ბაზებში ციტირებულ ჟურნალებში პუბლიკაცია, არამედ ინტერნაციონალიზაციის სავალდებულო კომპონენტად დაფიქსირებულიყო, დაწესებულებას ეს პუნქტი არ ჰქონდა და ერთ-ერთი აკრედიტაციის დროს დაემატა. ენების წინაპირობების საკითხიც იყო რეკომენდაცია და შემდეგ დაწესებულებამ დააზუსტა.
„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ, დასძინა, რომ უცხოელი ექსპერტის რეცენზირება არ ითვლება არც გამოქვეყნებად, არც კონფერენციაში მონაწილეობად, ეს არის ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტი გარდა გამოქვეყნებისა და კონფერენციაში მონაწილეობისა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:43
დასრულების დრო: 20:56

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები -საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#64 26.07.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	02 - (120/ნ)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, წმინდა გიორგის N24
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკა
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#63 26.07.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0701 - (120/ნ)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, წმინდა გიორგის N24
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა გეგეშიძემ, განაცხადა, რომ წარმოდგენილი დასკვნები არის ახალ ლოკაციაზე პროგრამის მონიტორინგისთვის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, შესაბამისად სტანდარტების სრულად შემოწმება არ განხორციელებულა, მხოლოდ შეფასდა ფოთის ლოკაციაზე თუ რამდენად არის შესაძლებელი „ფინანსები - საფინანსო საქმე და

დაზღვევა ტრანსპორტზე“ და „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამების განხორციელება. მონიტორინგი გახორციელდა 21 მარტს, პროგრამა არის აკრედიტებული, მუშაობს ბათუმის ლოკაციაზე, თუმცა დაწესებულებას სურს გადმოიტანოს ფოთის ლოკაციაზე, რისი შესაბამისი რესურსებიც აქვს. დაწესებულებას ასევე დაგეგმილი აქვს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს არ მიიღოს სტუდენტები ბათუმის ლოკაციაზე და ეს განახორციელოს მხოლოდ ფოთის ლოკაციაზე. აღნიშნული პროგრამის ახალ ლოკაციაზე განხორციელებისათვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია მხოლოდ რჩევა, პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია ინსტიტუციამ ინტენსიურად მოახდინოს ფოთის ლოკაციაზე აკადემიური პერსონალის მოზიდვის საკითხებზე მუშაობა, რათა ერთი წლის შემდეგ, ორივე ლოკაციაზე მიღების გამოცხადების პირობებში, არ შეიქმნას პრობლემები პროგრამის აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხებში. ამ ეტაპზე, დაგეგმილია ბათუმის რესურსების გამოყენება და შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილია ლექტორების გადაადგილება. სტუდენტებს იგივე და უკეთეს რესურსებთან ექნებათ ხელმისაწვდომობა ფოთის ლოკაციაზე, აღნიშნული პროგრამებზე ჩარიცხვის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ყურშუბაძემ, განაცხადა, რომ ფოთის ლოკაცია ახალი ლოკაციაა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად 2020 წლიდან დაიწყო განხორციელება ხანმოკლე პროგრამებისა და შემდეგ პროფესიული განათლებისა. ამ ეტაპზე კი იწყებენ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. პროგრამაზე იფუნქციონირებს შესაბამისი ფაკულტეტი, რომელიც ახორციელებს ამ პროგრამას და კადრების მოზიდვის, განვითარებისა და აკადემიური არჩევნების საჭიროების გამოცხადების მიზნით დაწესებულება იმავე ძალისხმიერებას გამოიჩენს, როგორც სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ძირითად ფაკულტეტებზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა გეგეშიძემ, დასძინა, რომ ფოთის ლოკაციაზე წარმოდგენილი აქვთ მემორანდუმები ადგილობრივად პრაქტიკის განხორციელების, ასევე აქვთ პრაქტიკის განხორციელების ლაბორატორიები ტრანსპორტის მიმართულებით და ძალიან კარგი სიმულატორები. ძალიან მზარდი ქალაქია ამ ბოლო დროს და კარგი შესაძლებლობები შეიძლება გამოიხატოს, როგორც ფოთის განვითარების, ისე სტუდენტების კარგი სწავლებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:06
დასრულების დრო: 21:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11/06/2021 #632911
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ათემატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 Mathematics / მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართულლი
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. ჩოლოყაშვილის, თბილისი, საქართველო, 0162
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11/06/2021 N632912
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	

8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ათემატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 Mathematics/მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქ. ჩოლოყაშვილის, თბილისი, საქართველო, 0162
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ირინა ლობჟანიძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე და მეშვიდესაკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ, განცხადა, რომ ვიზიტი შედგა ერთდროულად, რიგი რეკომენდაციები ორივე პროგრამასთან მიმართებით იყო იდენტური და ფაქტობრივად განხორციელდა კლასტერული შეფასება. დაწესებულების მიერ პროგრამასთან მიმართბით გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:11
დასრულების დრო: 21:13

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

8. მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ამთო და გეოინჟინერია
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	კრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 15.06.2021. ადაწყვეტილება No645441
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ამთო და გეოინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ამთო საქმე და მოპოვება, 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, No3 სასწავლო კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - ეკა შაკიაშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დონდოლაძემ, განაცხადა, რომ წარმოადგინა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის დასკვნა. დაწესებულების მიერ მოწოდებულ იქნა ანგარიში და დოკუმენტაცია თითოეული რეკომენდაციის შესრულების შესახებ, რის შედეგადაც მომზადდა დასკვნა, რომელშიც გაწერილია თითოეული რეკომენდაციის შესრულების შესახებ ინფორმაცია და მტკიცებულებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:17
დასრულების დრო: 21:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

9. მეცხრე საკითხი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბიჯის“ „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	იზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30.10.2021; N1220366
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	

8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	იზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #67
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ, განაცხადა, რომ 2021 წლის 30 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი, გაცემული იქნა 9 რეკომენდაცია და 6 თვის თავზე განესაზღვრათ ანგარიშის წარმოდგენა. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით დასტურდება გარეკვა დაწესებულებას შესრულებული აქვს რეკომენდაციებისა და რჩევების დიდი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ვიცე-რექტორმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარიამ დარბაიძემ, განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია მიმართული იყო პროგრამის განვითარებისკენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:23
დასრულების დრო: 21:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბიჯის“ „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბიჯის“ „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 22 ივლისის 21:26 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით